

# საგზიეღი

სკორტული ჟურნალი



2002 FIFA WORLD CUP  
KOREA JAPAN



**3** იწყება სიბიჟე!

**4** მსოფლიოს ჩემპიონატის პარაკვლავები

**12** თანამგახილველი...

**16** აბოცნოვები

**18** სტადიონები

**20** 1998

**23** ყველაზე...

**25** ბიორგი დარჯანია  
ბავრი იარა თუ სოტა...

**26** სოლომონ გულინაშვილი  
ულოგოონი

14-15 გვერდი. მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარი.  
III შოთა არველაძე. საქართველო, გლაზგო რეინჯერსი. REUTERS  
IV მსოფლიოს ყველა ჩემპიონი




რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი  
რედაქტორის მოადგილე სოლომონ გულინაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი რუსუდან დარსაგველიძე  
სტილისტი ცისანა ნიკოლაიშვილი  
ოპერატორი ნინო ჟუჟუნია

მრჩეველთა საბჭო: ვახტანგ ბუიკაძე, მამუკა გუბელაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ზურაბ ფოცხვერია

პაწმეო სარბიელის დაკაბეპა

რეკლამა ჟურნალ «სარბიელში» – 93 16 08



# ინყუზა სივიჟე!

მაშ, მოახლოვდა მსოფლიოს ჩემპიონატი — დიდი ფეხბურთის ყველაზე იშვიათი, ყველაზე ფასეული და ყველაზე ეროვნული შეჯიბრება.

იაპონიასა და კორეაში სამყაროს ოცდათორმეტი საუკეთესო გუნდი შეებრძოლება ერთმანეთს.

მსოფლიოს ჩემპიონატი ყოველთვის იყო საფეხბურთო მოდების, ფიქრების და შესაძლებლობების საუკეთესო გამოფენა. ბოლო დროს მასში ყველაფერი შეჯიბრებამ დაჩრდილა, რაც ადრეც მთავარი იყო, მაგრამ სანახაობა და მრავალფეროვნება მეტი ჰქონდა, იმის მიუხედავად, რომ იქ ბევრად ნაკლები გუნდი იბრძოდა.

მსოფლიოს ჩემპიონატი საფეხბურთო ფესტივალიც არის, რადგან იქ გამარჯვების შანსი და იმედი, ტრადიციულად ოთხხუთ გუნდს თუ აქვს. საფესტივალო ვანწყობაც დიდად უხდება ასეთ შეჯიბრებას. მაგალითად, ჩვენ არ გვახსოვს იამაიკის ნაკრების არცერთი ფეხბურთელი, მაგრამ გვახსოვს მისი ვულშემატკივარი ვოგონები.

მსოფლიოს ჩემპიონატზე იბერწება მრავალი დაუეიწყარი საფეხბურთო და არასაფეხბურთო წარმოდგენა. გასაოცრად ჩანს ადამიანთა ხასიათები და ვნებები.

ისევე, როგორც არ დაგვავიწყდება გასაოცარი მატჩები, არ დაგვავიწყდება ხორვატი მიროსლავ ბლაუვეიჩი ფრანგი ჟანდარმის ქუდით ხელში, არ დაგვავიწყდება ირან-ამერიკის მატჩი, რომელიც არაფერს წყვეტდა ჩემპიონატზე, მაგრამ ბევრს წყვეტდა ცხოვრებაში. ასეთი მაგალითი უამრავია.

ყველაზე კარგი კი მაინც ის არის, რომ იწყება მსოფლიოს ჩემპიონატი, ერთთვისანი საფეხბურთო სივიჟე. ალბათ, სამყაროს მთავარი და რაც მთავარია, ნამდვილი სანახაობა, რომელსაც უწინარეს ყოვლისა ვარსკვლავები ქმნიან. შემდეგი გვერდიდან სწორედ მათზე მოვითხრობთ.

## ზინედინ ზიდანი საფრანგეთი

დაიბადა 1972 წლის 23 ივნისს  
სიმაღლე 185 სმ  
წონა 85 კგ  
კლუბები: კანი, ბორდო, იუვე-  
ნტუსი, რეალი

ალჟირელი ემიგრანტე-  
ბის მარსელში დაბადებუ-  
ლი ვაჟი თავიდან ქალა-  
ქის ქუჩებში დასდევდა  
ბურთს, 14 წლისა კი „კა-  
ნის“ ბავშვთა სკო-  
ლაში მიიყვანეს.  
17 წლისამ „კა-  
ნის“ შემადგენ-  
ლობაში პირვე-  
ლად ითამაშა  
საფრანგეთის  
ჩემპიონატში,  
მაგრამ გუნდი  
პირველი დივი-  
ზიონიდან გავა-  
რდა და ზიზუ-  
მაც „ბორდოს“  
მიაშურა. ახალ  
გუნდში 1995-96




წლების სეზონში ზიდანს  
უეფას თასის ფინალში მო-  
უწვია ძალის მოსინჯვა, მა-  
გრამ „ბაიერნთან“ დამარცხდა.  
მიუხედავად ამისა, მას უკვე  
ადარებდნენ ფრანგული ფეხ-  
ბურთის ყველაზე კაშკაშა ვა-  
რსკლავს მიშელ პლატინის. სხ-  
ვათა შორის, 1984 წლის ევროპის ჩემპიონატზე, როდესაც პლატი-  
ნი კარიერის მწვერვალზე იყო, ზიდანი სტადიონზე ბურთის მი-  
მტან ბიჭად იდგა და ლეგენდა ახლოდან ჰყავდა ნანახი.

ნაკრებში ზიდანის პირველივე გამოჩენა ეფექტური გამოდგა:  
ფრანგები ჩეხებთან 0:2-ს აგებდნენ, როდესაც ზიზუ მოედანზე  
შეუშვეს და მანაც ორი ბურთი შეაგდო. შემდეგ იყო „ეგრო 96“  
და კონტრაქტი ტურინის „იუვენტუსთან“. „ბებური ქალბატონის“  
შემადგენლობაში ზიდანმა 1994 და 1998 წლების სკუდეტო მოიგო,  
მაგრამ იმ პერიოდის მთავარი მოვლენა 1998 წელს მსოფლიოს  
ჩემპიონის ტიტულის მოპოვება გახლდათ. ფინალში ბრაზილი-  
ასთან მატჩში მან ორი გოლი გაიტანა. ორი წლის შემდეგ კი  
ზიდანმა და საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონის გვი-  
რგვის ევროპის უძლიერესი გუნდის წოდებაც დაამატეს.

2001 წელს ზინედინ ზიდანი მადრიდის „რეალმა“ შეიძინა 60  
მილიონ დოლარად, რაც სარეკორდო ფასი იყო. მისი წლიური  
შემოსავალი დაახლოებით 8 მილიონ დოლარს უდრის.

## ელჰაჯი დიუფი სენეგალი

დაიბადა 1981 წლის 15 იანვარს  
სიმაღლე 182 სმ  
წონა 74 კგ  
კლუბები: სოშო, რენი, ლანსი



სენეგალი, მოგესხენებთ, მსოფლიოს ჩემპიონა-  
ტების ფინალურ ეტაპზე პირველად და, კაცმა  
რომ თქვას, მის იქ მოხვედრას არავინ ელოდა, რადგან აფრიკის  
შესარჩევი C ჯგუფის ფავორიტად ყველა მაროკოს მიჩნევდა. მაგრამ  
მაროკოს სენეგალმა აჯობა გოლების უკეთესი სხვაობით და ამაში  
დიდი დამსახურება ელჰაჯი დიუფს მიუძღვის — სენეგალელთა 14  
გოლიდან 9 მან გაიტანა და აქედან ორჯერ ჰეთ-თრიქი შეასრულა.

რაც „ლანსში“ გადავიდა, დიუფი აღარ „ძელებიჭობს“, ავტოგრაფე-  
ბსაც მორჩილად არიგებს და ინტერვიუზეც სიამოვნებით თანხმდება.  
თან ბოლო დროს რეკლამებშიც დაუწყეს გადაღება, თუმცა, სენეგალის  
ნაკრების თავკაცი ბურნი მეტსუ ამბობს, რომ მისთვის ყველაფერი  
სულელთაა, იღონდ კი დიუფმა მოედანზე თავისი საქმე გააკეთოს.

## ალვარო რეკობა ურუგვაი

დაიბადა 1976 წლის 17 მარტს  
სიმაღლე 179 სმ  
წონა 79 კგ  
კლუბები: დანუბიო, ნასიონალი,  
ინტერი, ვენეცია



ალვარო რეკობას სამშობლო-  
ში ენცო ფრანჩესკოლის მექ-  
ვიდრედ მიიჩნევენ და მის მარ-  
ცხენა ფეხზე ძალიან დიდ იმე-  
დებს ამყარებენ.

რეკობა მონტევიდეოშია და-  
ბადებული და ადგილობრივი  
მეორეხარისხოვანი გუნდის — „დანუბიოს“ გარემოში გაზრდილი.  
17 წლისა უკვე „ნასიონალის“ წვერი გახდა, სადაც თავდამსხმე-  
ლად თამაშობდა 57 შეხვედრაში 51 გოლი გაიტანა და ყოველივე  
ამით მოხიბლულმა იტალიურმა გიგანტმა „ინტერმა“ 1987 წელს  
მილანში ჩაიყვანა.

„მილანში ჩემს შესახებ არავინ არაფერი იცოდა. მხოლოდ ერთმა  
თუ ორმა ჟურნალისტმა შეიწუხა თავი და ყურადღება გამოიჩინა,  
მაგრამ გავიდა დრო, საქმე კარგად ამეწყო და ახლა ყოველდღი-  
ურად 20 წუთს ავტოგრაფების დარიგებაში ვატარებ. ხალხი ქუ-  
ჩამიც კი მამერებს“, — ამბობს რეკობა.

ისე, იტალიაში ურუგვაელი ბევრ სირთულეებსაც გადააწყდა.  
ჯერ ერთი წლით „ინტერმა“ „ვენეციას“ ათხოვა, მილანში დაბრუ-  
ნების შემდეგ კი საპასპორტო სკანდალში გაეხვია და კიდევ ერთი  
წლით იტალიიდან მოიკვეთეს. შეგახსენებთ, მას და უცხოელ  
მოთამაშეთა ერთ ჯგუფს იტალიური საბუთები შეუმოწმეს და  
მათი სიყალბე დაადგინეს.

## ეპე სანდი დანია

დაიბადა 1972 წლის 19 ივლისს  
სიმაღლე 183 სმ  
წონა 78 კგ  
კლუბები: პადსუნდი, ბრონდ-  
ბიუ, შალკე 04



1997 წელს დანიის ჩემ-  
პიონატში ათდღიან მინა-  
კვეთში ეპე სანდმა ორჯერ  
შეასრულა ჰეთ-თრიქი და  
მას შემდეგ დაიწყო...

თუმცა, მანამდე, ხუთი  
წლით ადრე, მშობლიური  
იუტლანდიიდან, სადაც  
„ჰადსუნდში“ თამაშობდა,  
კოპენჰაგენში ჩავიდა,  
„ბრონდბიუს“ ფეხბურთე-  
ლი გახდა და... ხსენებულ  
1997 წლამდე პროფესიულ  
კონტრაქტს ცოცხალი თა-  
ვით არ მოაწერა ხელი. მი-  
ზეზი: ინჟინრის დიპლომის  
აღება უნდოდა.

1998 წელს სანდი ნაკრებში მიიწვიეს და მსოფლიოს ჩემპიონა-  
ტზე წაიყვანეს, სადაც ნიგერიელებთან შეხვედრაში მოედანზე  
შესვლიდან 24 წამში ბურთი შეაგდო. იმავე წლის აგვისტოში  
სათესლე ჯირკვლის კიბოს ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ ოქტომბე-  
რში ისევ ნაკრების მაისურა ეცვა.

1999 წლის აპრილში სანდი გერმანიაში, „შალკე 04“-ში გადა-  
ვიდა. გერმანელებმა მასში 10 მილიონი მარკა გადაიხადეს, რაც  
მათი კლუბისთვის სარეკორდო თანხა გამოდგა. იმავე წელს  
სანდმა ბავშვობის სიყვარულთან, ტრინესთან იქორწინა. მათს  
ვაჟს მიკელს ჰქვია.

## რაულ გონსალეს ბლანკო ესპანეთი

დაიბადა 1977 წლის 27 ივნისს  
სიმაღლე 180 სმ  
წონა 73 კგ  
კლუბები: სან კრისტობალ დე ლოს ანხელესი, ატლეტიკო, რეალი



რაული მადრიდელია, ოლინდ გარეუბნელი. თავიდან „სან კრისტობალში“ თამაშობდა კიდევ, მაგრამ მერე, 13 წლისა, მამამ „ატლეტიკოში“ მიიყვანა. ცხადია, ახალგაზრდულ გუნდში. ბიჭმა იმთავითვე გამოიჩინა თავი, მაგრამ „ატლეტიკოში“ პროფესიონალ ფეხბურთელად ვერ ჩამოყალიბდა, რადგან ექსცენტრულმა პრეზიდენტმა ხესუს ხილი ხილმა ახალგაზრდული გუნდი გააუქმა, ფული მეხარჯებო. რაულმაც „რეალს“ მაიკითხა, სადაც C გუნდში მიიღეს და ნახეს, რომ მან პირველ შვიდ შეხვედრაში 13 გოლი გაიტანა. შესაბამისად, 1994 წლის ოქტომბერში „სამეფო კლუბის“ მამინდელმა თავაკცმა ხორხე ვალდანიმ ყმაწვილი პირველ გუნდში გადაიყვანა. 17 წლისა და ოთხი თვის რაული გახდა „რეალის“ ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, ვინც ლეგენდარული თეთრი მაისურით მოედანზე შეუშვეს.

ნაკრებში რაულის დებიუტი 1996 წლის ოქტომბერში მოეწყო, 1998 წელს კი მსოფლიოს ჩემპიონატზეც წაიყვანეს, თუმცა იქ დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, რადგან ესპანელები პირველსავე ეტაპზე გამოეთიშნენ ტურნირს. გაცილებით უფექტური გამოდგა „ევრო 2000“-ის ფინალური ეტაპი, სადაც რაული და მისი გუნდი მეოთხედფინალში მომავალმა ჩემპიონმა, საფრანგეთმა დაამარცხა.

დღეს რაული მსოფლიოს ყველაზე დიდხელფასიან ფეხბურთელად ითვლება, თვეში ნახევარ მილიონ დოლარამდე იღებს და თუ ვინმეს მისი „რეალიდან“ წაყვანა მოუწდება, 137 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს.




## ზლატკო ზაკოვიჩი სლოვენია

დაიბადა 1972 წლის 1 თებერვალს  
სიმაღლე 180 სმ  
წონა 76 კგ  
კლუბები: პარტიზანი, პროლეტერი, ვიტორია გიმარაუმი, პორტო, ოლიმპიკოსი, ვალენსია, ბენფიკა

ამ სლოვენელ თავდამსხმელს სლოვენურ კლუბში არასდროს უთამაშია, მაგრამ ნაკრების წარმატებაში უთუოდ უდიდესი წვლილი მიუძღვის. ის არასდროს ერიდება ორთაბრძოლებს, თავს არასდროს არიდებს დაცვით თამაშს, შეუძლია მიელი მატჩის განმავლობაში ერთი საჯარიმიდან მეორისკენ ირბინოს და ძალიან დახვეწილ პასებს აწოდებს.

რა ნაკლი აქვს ზლატკო ზაკოვიჩს? მოუთმენელია და ამიტომაც დახეტიალობს გუნდიდან გუნდში, ქვეყნიდან ქვეყანაში. მაგალითად, საბერძნეთში, „ოლიმპიკოსში“ რომ თამაშობდა, თანაგუნდელები გაუთავებელი კრიტიკით გადიზიანა და მათაც პირი შეკრეს. შედეგად, ბერძნებმა სლოვენი „ვალენსიას“ მიჰყიდეს. ხილო მის თანამემამულეებს იმედი აქვთ, რომ ზლატკო ოდესმე დამშვიდდება და მწარე ლაპარაკს მოიშლის.



## სოსე ლუსინ ჩილბერტი კარაგვანი

დაიბადა 1965 წლის 27 ივლისს  
სიმაღლე 190 სმ  
წონა 90 კგ  
კლუბები: სპორტივო ლუკენი, გუარანი ასუნსიონი, სან ლორენსო, სარაგოსა, ველეს სარსფილდი, სტრასბური

ამ მეკარეს 15 წლისას უკვე „სპორტივო ლუკენოს“ კარის დაცვას ანდობდნენ. მაშინვე აიყვანეს პარაგვაის ახალგაზრდულ გუნდში, ხოლო 18 წლისა „გუარანის“ კარში იდგა. ერთი წლის შემდეგ არგენტინას გაემგზავრა „სან ლორენსოში“ სათამაშოდ, სადაც ოთხ წელიწადს გაძლო. იქიდან ესპანეთში ჩავიდა და ოთხი უსახური წელიწადი „სარაგოსაში“ გაატარა, სადაც სათადარიგობაც კი აკადრეს. შეურაცხყოფილი არგენტინას დაუბრუნდა და „ველეს სარსფილდში“ დაიწყო თამაში. აი, იქ კი მიადწია წარმატებებს: სამეზის ჩემპიონობა, კოპა ლიბერტადორესიო, საკონტინენტთაშორისო თასიო. „ველესში“ ჩილბერტმა შვიდი წელიწადი გაატარა და ორჯერ, 1995 და 1997 წლებში, მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ აღიარეს. შემდეგ კი პარაგვაელს გულმა ისევ ევროპისკენ გაუწვია. ის დღემდე საფრანგეთშია, „სტრასბურში“ თამაშობს.

კიდევ, ჩილბერტი ჯარიმების და პენალტების ოსტატია. ხომ მეკარეა, მაგრამ 50-ზე მეტი გოლი აქვს გატანილი. ეს ფიციხი კაცი ხშირად ეხვევა შარში. ჩხუბობს მოედანზე და მოედნის გარეთ, სამშობლოში კი გმირად მიანიათ. ახლა იაპონიასა და კორეაშიც ჩავა და მერე, ალბათ, პროფესიას გამოიცვლის — ფეხბურთის თამაშს თავს დაანებებს და პოლიტიკოსი გახდება. მისი საბოლოო მიზანი პარაგვაის პრეზიდენტობაა.


## შონ ბარტლეტი სამხრეთ აფრიკა

დაიბადა 1972 წლის 31 ოქტომბერს  
სიმაღლე 175  
წონა 74 კგ  
კლუბები: კეიპ ტაუნ საურზი, ნიუ იორკ მეტროსტარზი, კოლორადო რაბიდზი, ციურისი, ჩარლტონ ატლეტიკი

ბეერი იტყვის ქორწილში პრეზიდენტი მესტუმრაო? შონ ბარტლეტს კი ნელსონ მანდელა ევცდა სუფრაზე. ალბათ, იმიტომ რომ ბარტლეტი მანდელას გოგო-შვილიშვილის ძმაკაცია.

ისე, ბარტლეტი ყოველთვის ინგლისში თამაშზე ოცნებობს, მაგრამ, სანამ 29 წლისა არ მოიყარა, ოცნება ვერ აიხდინა. არადა, ის იმ ტიპის ფეხბურთელია, ინგლისელებს რომ უყვართ: სწრაფი, მაღლა მხტომი და ბურთის გამკონტროლებელი. და მაინც, თავიდან ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა გაუჭირდა, თუმცა მერე, როდესაც „ჩარლტონ ატლეტისთვის“ გადაწყვეტ შეხვედრაში ჰეთ-ორიქი შეასრულა და გუნდი ფაქტობრივად პრემიერლიგაში აიყვანა, პატივცემულ კაცად იქცა.

ბარტლეტის კეპში რუულ გულიტია, სამხრეთაფრიკელთა მწვრთნელის, კარლოს კეიროსის კი — თავად ბარტლეტი, მწვრთნელმა კაპიტნის სამკლავური ლუკას რადებეს ჩამოართვა და მას უბოძა.



## რივალდო მიტორ ბორა ფილიპა ბრაზილია

დაიბადა 1972 წლის 19 აპრილს  
სიმაღლე 186 სმ  
წონა 75 კგ  
კლუბები: პაულისტა, სანტა კრუზი, მოგი - მირმი, კორინთიანსი, პალმეირასი, დეპორტივოლა კორუენია, ბარსელონა



რივალდოზე ვერავენ იტყვიან, თავიდანვე კაშკაშებდაო. მაგალითად, სანამ 1993 წელს სან პაულუს „კორინთიანსში“ არ მიიღეს, მისი კარიერა დიდად გამოჩნეული არ ყოფილა. აი, „კორინთიანსში“ კი უცხად გაიბრწყინა — 19 შეხვედრაში 11 გოლი გაიტანა.

მაგრამ ამ კლუბში წელიწადიც არ დაუყვია, სან პაულუსაკვე „პალმეირასში“ შეიძინა. ეს 1994 წელს მოხდა, როდესაც „პალმეირასი“ და, ცხადია, რივალდოც ბრაზილიის ჩემპიონები გახდნენ.

1996 წელს ატლანტაში ოლიმპიადა ჩატარდა და მისი დამთავრების შემდეგ ბრაზილიელმა ესპანეთში, კერძოდ, „დეპორტივოში“ ამოყო თავი, სადაც 21 ვოლით „ბარსელონას“ ყურადღება მიიპყრო. მაშინ „ბარსა“ იტალიაში ბედის საძიებლად წასული რონალდოს შემცვლელს ეძებდა... და კლუბმა და ფეხბურთელმა ერთმანეთი აიპყვეს. მას შემდეგ რივალდოს ცხოვრებაში წარმატებას წარმატება მოჰყვა. აქ ორის დასახელებაც იკმარება: რივალდომ 1999 წელს „ფრანს ფუტბოლის“ ოქროს ბურთიც მიიღო და ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა.

ნაკრებში? არც იქ ყოფილა რივალდოსთვის ცხოვრება დაღვნილი. პირველად ყვითელი მასიურა 1993 წელს მიიღო, მაგრამ შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატიც გამოატოვებინეს და კოპა ამერიკაც. როგორც ზემოთ ვთქვით, ვარსკვლავი ნაკრებს ატლანტის ოლიმპიადაზე გაკვავა, მაგრამ იქაც დიდად ვერ გაიხარა — ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონთან, ნიგერასთან დამარცხდა (1:3) და შერისხულთა ხაზში აღმოჩნდა ანუ 1997 წლამდე საკლუბო ფეხბურთისდა სჯერდებოდა.

1998 წელს რივალდო მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი იმ ვარსკვლავთაგანი გახლდათ, ფიფამ „ოლ სტარში“ რომ შეიყვანა. მასზე ამბობენ, ეგოისტიაო, ორთაბრძოლებს თავს არიდებსო, ტაქტიკას ყოველთვის კარგად ვერ ერგებაო... მაგრამ ის რივალდოა და მორჩა!



## ჰაქან შუშური თურქეთი

დაიბადა 1971 წლის 1 სექტემბერს  
სიმაღლე 191 სმ  
წონა 81 კგ  
კლუბები: ზაქარიასფორი, ბურსასფორი, გალათასარი, ტორინო, ინტერი

დღევანდელი თურქეთის ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი 16 წლისა მშობლიურ „ზაქარიასფორში“ თამაშობდა. იქიდან ცოტა ხნით ბურსაში ამოყო თავი, მაგრამ ამ დროს თვალი „გალათასარაიმ“ დააღვა და ბიჭიც ბოსფორის პირას აღმოჩნდა, სადაც პირველსაკვე სეზონში 19 გოლს და ჩემპიონის ტიტულს გამოჰკრა ხელი.

ჰაქანის ნაკრებში გამოჩენა დროის ამბავი იყო. მართლაც, „ეურო 96“-ის შესარჩევ ციკლში იგი იოლად შეეწყო ეროვნულ გუნდს და ინგლისის სტადიონებზე თურქეთა ისტორიაში პირველ კონტინენტურ ჩემპიონატშიც მიიღო მონაწილეობა.

იმავე წელიწადს ფორვარდმა ბედის გამოწვევა მიიღო — იტალიას გაემურა „ტორინოში“ სათამაშოდ, მაგრამ თავი ვერ გამოიჩინა. კიდევ კარგი, ისევ „გალათასარაიმ“ გაუწოდა დახმარების ხელი.

2000 წლის მისში „გალათასარაიმ“ უფრას თავი მოიპოვა და ჰაქანის გარშემო ისევ ატყდა ერთი ამბავი. მყიდველთა დიდი სიდიდან ყველას „ინტერმა“ აჯობა.

დღეს კი ამ ფორვარდზე მთელი თურქეთი იმედს ამყარებს. მათი ქვეყნის ნაკრები ხომ მსოფლიოს ჩემპიონატზე 1954 წლის შემდეგ არ ყოფილა.

## ფან შუი ჩინეთი

დაიბადა 1969 წლის 6 ნოემბერს  
სიმაღლე 183 სმ  
წონა 75 კგ  
კლუბები: შანხაი შენხუა, კრისტალ პალასი, დანდი



ჩინეთის ნაკრების ყველაზე თვალსაჩინო მოთამაშე ჰაბუკი არ გვეგონოთ, 32 წლისაა. 1998 წელს იგი ერთ-ერთი პირველი პროფესიონალი ჩინელი ფეხბურთელი გახდა — 1,6 მილიონ დოლარად იყიდა ინგლისურმა „კრისტალ პალასმა“. ერთ-ერთი მიზეზი, რომ მასთან ერთად ინგლისელებმა მისი თანაგუნდელი მან ჩიპაიც შეიძინეს, ხოლო ის, ვინც წვეილს თვალი დააღვა, თვით ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცი ტერი ვენიებლზი გახლდათ.

მაგრამ მან ჩიპაი სამშობლოში დაბრუნდა, ფან შუი კი ახალ გუნდში დამკვიდრდა და ნამდვილ პროფესიონალად ჩამოყალიბდა. უნდა ითქვას, რომ ამით მან დიდი საქმე გააკეთა, უპირველეს ყოვლისა, ქომაგთა ყურადღების მიპყრობისა და ჩინეთში ფეხბურთის პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

ფან შუი უფრო მცველია, თუმცა ღონისა და სისწრაფის გამო ნახევარდაცვაშიც იყენებენ. მწვერთნელებს განსაკუთრებით მისი შრომისმოყვარეობა და საიმედოობა ხიბლავთ, რისთვისაც სამჯერ „კრისტალ პალასის“ თვის საუკეთესო ფეხბურთელადაც კი დაასახელეს. კარიერის დასრულების შემდეგ ფანი სამშობლოში დაბრუნებას და მწვერთნელობას ფიქრობს.

## ერნან ევარისტო მელფორდ ბრაიანი კოსტა რიკა

დაიბადა 1968 წლის 23 მისის  
სიმაღლე 177 სმ  
წონა 75 კგ  
გუნდები: დეპორტივო სამრისა, დინამო ზაგრები, რაიო ვალეკანო, ფოჯა, პარუკა, ლეონი, ნეკაქა



კოსტარიკელთა ლიდერს ჩემპიონატამდე ერთი კვირით ადრე ოცდამეოთხმეტე დაბადების დღეს მიულოცავენ. დაბადებით სან ხოსელია და სამშობლოში თავიანთი ფეხბურთის სიმბოლოდ მიაჩნიათ.


მელფორდმა თამაში კოსტა რიკაში დაიწყო, მაგრამ შემდეგ მთელი მსოფლიო მოიარა. რაც შეეხება ნაკრებს, მისი უამრავი გოლიდან ორი საგანგებოდ ახსოვთ: იტალიაში, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე შეუდგების კარში გატანილი და მექსიკაში, ცნობილ „ატეტეკაზე“, შესარჩევში, მასპინძელთა დასამარცხებლად შეუდგებულა.

და როდესაც იაპონიისა და კორეის სტადიონებზე თანამემამულთა გულების განარებას შეეცდებოდა, იგი იქნება პირველი კოსტარიკელი, ფიფას მესამე ჩემპიონატში რომ მონაწილეობს: 1985 წლის 17 წლამდელთა, იტალია 90 და იაპონია-კორეა 2002.

მელფორდი ხასიათით ჩამოყალიბებული მასხარაა, ახალგაზრდებისათვის დახმარების ხელია, ხოლო ეროვნული გუნდისთვის რეკორდსმენი, 79 მატჩის მონაწილე.

## საოლ კი-ჰიეონი კორეა

დაიბადა 1979 წლის 8 იანვარს  
სიმაღლე 184 სმ  
წონა 73 კგ  
კლუბები: ანტვერპენი, ანდერლექტი



ევროპამ პირველი კორეელი 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანების დასაწყისში იხილა. ეს იყო ბუმ-კუნ ჩა, ამ ქვეყნის ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა, კაცი, რომელმაც თანამემამულეთ დიდი სარბიელისკენ გაუჭრა გზა. დღეს კორეა მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი მასპინძელია და „ბეებერ კონტინენტზე“ მოთამაშე ახალი ლიდერი ჰყავს — სეოლ კი-ჰიეონი, რომელმაც „ანტვერპენში“ გატარებული ერთი წლის შემდეგ გასულ ზაფხულს „ანდერლექტთან“ გააფორმა კონტრაქტი.

ფორვარდი „ანტვერპენში“ თავიდან სირთულეებს წააწყდა, მაგრამ არ დანებდა და მწვერთვებს, რეჯი ვან აკერს საბოლოოდ ისე მოაწონა თავი, როდესაც იგი „ლიერსში“ გადავიდა, კორეელს წაყოლა სთხოვა. როგორც ხვდებით, ვან აკერმა უარი მიიღო, რადგან კორეელმა „ანდერლექტში“ დამკვიდრება გადაწყვიტა.

საერთოდ, სეოლ კი-ჰიეონი ცხოვრებისეულ გამოწვევებს არ ერიდება. მაგალითად, კორეაში კოლეჯის გუნდში რომ გამოდიოდა, ბევრი იაპონურ ჯეი ლიგაში გადასვლას ურჩევდა, მაგრამ თავიდან-სხმელმა მტკიცე უარი განაცხადა, რადგან ევროპაზე ოცნებობდა.

„მერე, ბელგიაში რომ ჩავიდი, მსაყვედურობდნენ უფრო ძლიერი ქვეყანა რატომ არ ამჯობინებო, მაგრამ ჩემთვის უმჯობესი ცხადი გახდა, რომ ევროპულ ფეხბურთთან შესაგუებლად უკეთეს ადგილს ვერ ვნახავდი“.


## ლუიზ ფელიპე მალეირა კაირო ფიგუ პორტუგალია

დაიბადა 1972 წლის 4 ნოემბერს  
სიმაღლე 180 სმ  
წონა 75 კგ  
კლუბები: ოს პასტილიასი, სპორტინგსი, ბარსელონა, რეალი

ლისაბონში არის მუშათა უბანი — ალმადა, სადაც ერთ-ერთ ქუჩის გუნდს „ოს პასტილიასი“ ერქვა და თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა ვარსკვლავმა ლუიშ ფიგუემ სწორედ იქ გააგონა ბურთი პირველად. მთორედ 11 წლის ფიგუ ბურთს ლისაბონის „სპორტინგის“ ბავშვთა გუნდში შეეხო, 16 წლის გარემარბი კი უკვე „სპორტინგის“ ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა. იმავე წელიწადს ის პორტუგალიის 16 წლამდელთა ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ხოლო ორ წელიწადში იგივე ტიტული 20 წლამდელთა გუნდთან ერთად მოიგო.

1994-95 წლების სეზონში 23 წლის ფიგუ უკვე „სპორტინგის“ კაპიტანია, ხოლო მომდევნო ზაფხულს გაზეთების პირველ გვერდზე ხვდება, როგორც კაცი, რომელმაც „ოვენტუსთანაც“ დასაწყის კონტრაქტს ხელი და „პარმასთანაც“.

ფიგუ პორტუგალიელისა სეთმა ცუდლუტობამ განარისხა და ორი წლით იტალიურ კლუბში გადასვლა აუკრძალა. ჰოდა, ფიგუც „ბარსელონაში“ გადავიდა, სადაც მწვერთვულად თვით იოკან კრუიფი მუშაობდა. კრუიფმა ფიგუს საბოლოო ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია, ხოლო „ბარსაში“ ფიგუს




დიდი მონაწილეობით ბევრი ტიტული მოაპოვა.

ეროვნულ ნაკრებში ფიგუ 1991 წლიდან თამაშობს. მის ხელში პორტუგალია „ევრო 96“-ზე მეტოხედფინალამდე მივიდა, სადაც ჩეჩეთთან დამარცხდა, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე რატომაც ვერ მიხვდა, ხოლო „ევრო 2000“-ზე ნახევარფინალში საფრანგეთთან წაგო.

„ევრო 2000“-ის შემდეგ იგი „რეალში“ გადავიდა (ანუ ბარსელონაში ხალხს თავ შეაზიზა) და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდება მიიღო. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ცოლების ცვლითა და პოლიუმისკენ სწრაფვით არ გამოირჩევა. ჰყავს შვედი ცოლი თუ მეგობარი (რას გაიგებ), ფოტომოდელი ჰელენ სიელინი და ქალიშვილი, სამი წლის დანიელა.

## კლაუდიო რინა აშუ

დაიბადა 1973 წლის 22 ივლისს  
სიმაღლე 178 სმ  
წონა 72 კგ  
კლუბები: ვოლფსბურგი, ლევერკუზენი, გლაზგო რინჯერსი



რინამ ბურთის თამაში 4 წლისამ დაიწყო, სკოლაში, მაღალ კლასებში სწავლისას უკვე ოლიმპიური ნაკრების წევრი გახდა, 1993 წელს ვირჯინიის უნივერსიტეტის სტუდენტმა წლის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო მიიღო და ასე შემდეგ.

იხე, რინას მამა არგენტინელი ფეხბურთელი გახლდათ და „ინდეპენდიენტეში“ თამაშობდა, ხოლო თავად კლაუდიო 94-ში უკვე აშშ-ის ნაკრების წევრი იყო. სამწუხაროდ, იმ წელიწადს დაშავდა და მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშა.

გამოჯანმრთელებულმა რინამ სეზონის გერმანიაში დაწყება გადაწყვიტა, „ლევერკუზენთან“ გააფორმა კონტრაქტი, მაგრამ თავი ვერც იმჟამინდელ მწვერთვებს ერის რიგებს მოაწონა და ვერც შემდგომს, კრისტოფ დაუმს. ამიტომაც, არგენტინელი მამის ამერიკელ შვილი 1997 წელს ბუნდესლიგაში ახალსული „ვოლფსბურგის“ მოთამაშე გახდა. აი, ამ გუნდში კი რინამ ფრთები გამალა, კაპიტნობას მიაღწია და მთავარი გამოამაშებლის როლიც შეიფერა. ორი წლის მერე რინა გლაზგოში გადაბარდა.

და ცოლადაც ვინ ჰყავს, არ იკითხა? მისი დანიელ რინა ამერიკის ფეხბურთულ ქალთა ნაკრების წევრია და შვიდჯერ მოიგო ეროვნული გუნდის მაისურა.

## ტომას ჰაიტო პოლონეთი

დაიბადა 1972 წლის 16 ოქტომბერს  
სიმაღლე 190 სმ  
წონა 86 კგ  
კლუბები: ძალინი, პოდპალანსკი, გიორალ ფოფუცი, პუტნიცი, გურნიცი, დუბიშურგი, შალკე 04



ჰაიტო გერმანიაში თამაშობს და ძალიან ცნობილია. ამას ორი რამ განაპირობებს. ერთი, ბურთის მისებრ შორს ვერავინ აგდებს, ეს კი მოწინააღმდეგეთა საჯარბოში ქაოსს იწვევს, და მეორე, მისებრ ხშირად ვერავინ იღებს ყვირთულ ბარათს. მაგალითად, 1998-99 წლების სეზონში იგი 16-ჯერ გააფრთხილეს, რაც ბუნდესლიგელებისთვის „დიდი“ შედეგი იყო.

პოლონეთის ეროვნულ გუნდში ჰაიტოს დებიუტი 1996 წლის 27 აპრილს მოეწყო, კვიპროსთან 2:2 დამთავრებულ შეხვედრაში. 2000 წლის შემოდგომაზე მწვერთვულმა, ირფი ენგელმა ხმამაღლა განაცხადა, ჰაიტოს ადგილი ნაკრებში არ არისო, მაგრამ ფეხბურთელმა იმდენი ქნა, დაბრუნდა.

ერთი სიტყვით, ტომას ჰაიტო მკაცრი, უკომპრომისო მცველია, ლინიერი, მაღლა მხტომი, ცოლშვილიანი, 9 წლის ვაჟის მატეუსის მამა, მორწმუნე კათოლიკე, მიღურად ჩაცმის მოტრფიალ, მეტსახელად კი ჯანი — აქილა, ვერსაჩესავით ბჭიავო.

## ოლივიერ კანი ბერაინი

დაიბადა 1969 წლის 15 ივლისს  
სიმაღლე 185 სმ  
წონა 73 კგ  
კლუბები: კარლსრუე, ბაიერნი

კანი ფეხბურთზე 1976 წელს მშობლიურ კარლსრუეში მივიდა და ერთი წლის შემდეგ „კარლსრუეს“ ყმაწვილთა გუნდის წევრი გახდა, მაგრამ ისე არასდროს უთამაშია, რომელიმე ასაკობრივ ნაკრებში რომ გამოეძახათ. ბუნდესლიგაში მისი დებიუტი 1990 წელს მოეწყო, ნაკრებში კი 1993-ში — „აშშ 94“-ზე ბოლო ილგნერის შემცვლელად ჰყავდათ წაყვანილი. „აშშ 94“-ის შემდეგ მეკარემ კარიერა „ბაიერნიში“ განაგრძო, მაგრამ ნოემბერში მყესი გაუწყდა და ხუთი თვე მკურნალობას მოუწია. როგორც გაირკვა, ტრავმის გამო შექმნილმა პრობლემამ და მისი დაძლევის სურვილმა კანი ძლიერ პიროვნებად ჩამოაყალიბა, რასაც „ბაიერნის“ ძღვემისილებაც დაემატა და ტიტულებმაც არ დაივიანა.

2000 წელს ოლივერ კანი წლის საუკეთესო გერმანულ ფეხბურთელად და ევროპის საუკეთესო მეკარედ დასახელეს, ხოლო 2000-01 წლების სეზონი მისი კარიერის მწვერვალად იქცა — „ბაიერნი“ და კანი გერმანიის ჩემპიონები და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულები გახდნენ.

დღეს გერმანიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ თამაშობს, მნიშვნელოვანწილად მისი დამსახურებაცაა.



დაიბადა 1972 წლის 11 დეკემბერს  
სიმაღლე 170 სმ  
წონა 65 კგ  
კლუბები: ალ ჰილალი, ფულერჰემპტონი

## სამი ალ ჯაბერი საუდის არაბეთი

სამი ალ ჯაბერი 15 წლისა რომ იყო, მასზე ბევრი არაბული კლუბი ნადირობდა და ეს ნადირობა „ალ ჰილალმა“ მოიგო. 1988 წელს ფორვარდი უკვე ყმაწვილთა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ხოლო ორი წლის შემდეგ საუდელთა ნაკრების ბრაზილიელმა თავკაცმა კარლოს ალბერტო პარეირამ (სწორედ მან, 94-ში ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა) ეროვნულ გუნდში მიიწვია.

94-ის მსოფლიოს ჩემპიონატზე ალ ჯაბერი თავიდან სათადარიგო იყო. მეორე შეხვედრაში, მაროკოსთან კი უკვე თავიდანვე ათამაშეს და სწორედ მისი გოლის წყალობით მოიგეს 1:0 — საუდის არაბეთი ისტორიაში პირველად გავიდა მეოთხედფინალში, სადაც შვედეთთან დამარცხდა — 1:3.

1996 წელს აზიის თასის მოგების შემდეგ ალ ჯაბერი და საუდის არაბეთის ნაკრები 1998 წელს საფრანგეთში, მსოფლიოს მორიგ ჩემპიონატზე მოხვდნენ. მართალია, გუნდმა შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, მაგრამ ფეხბურთელმა სამხრეთაფრიკელებთან მატჩში ბურთი შეაგდო, რის გამოც, როგორც ზედიზედ ორ მუნდიალში გოლის გამტანი აზიელი, ის კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

2000 წელს ალ ჯაბერმა ხუთი თვით პრემიერლიგის „ვულვერჰემპტონში“ მოსინჯა ძალა, მაგრამ ინგლისში თამაშს დიდი ჯან-ღონე სჭირდებოდა და თავდამსხმელი „ალ ჰილალს“ დაუბრუნდა.

## როი კინი ირლანდია

დაიბადა 1971 წლის 8 ოქტომბერს  
სიმაღლე 180 სმ  
წონა 77 კგ  
კლუბები: ნოტინგემ ფორესტი, მანჩესტერ იუნაიტედი



ეს ძველმოღური ტიპის შუა ნახევარმცველი „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ირლანდიის ნაკრების მენტალურ კაპიტანად აღიარებული. ბოლო წლებში ის მართლაც საუცხოოდ თამაშობს და 2000 წელს დაასახელეს კიდევ ინგლისში წლის საუკეთესო ფეხბურთელად როგორც კოლეგებმა ანუ მოთამაშეებმა, ისე ჟურნალისტებმა. საკლუბო ფეხბურთში მისი მიღწევების მწვერვალი, ცხადია, 1999 წლის მანჩესტერულ სასწაულს დაემთხვა, როდესაც გუნდმა ინგლისის ჩემპიონის ტიტულიც მოიგო, ფეხბურთის ასოციაციის თასიც და ევროპის ჩემპიონთა თასიც.

ნაკრებში კინი უკვე 11 წელიწადია თამაშობს და 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატშიც მიიღო მონაწილეობა. დღეს იგი მდიდარი კაცია. მანჩესტერის შემოგარენში, მდიდრულ ქუჩაზე მის სახლს კაცი თვალს ვერ მოსწყვეტს და ყოველი კლუბის ერთგული წევრიც თავის სამ ქალიშვილს იქ ზრდის. როი კინმა რამდენიმე წლის წინ წარმატებით ჩაატარა ალკოჰოლისმის საწინააღმდეგო მკურნალობა და დღეს ფრად პატივცემული მოქალაქეა.

## პატრიკ მკომა კამერუნი

დაიბადა 1970 წლის 15 ნოემბერს  
სიმაღლე 185 სმ  
წონა 85 კგ  
კლუბები: სტად დე ელსტი, პარი სენ ჟერმენი, შატორუ, მეცი, გამბა, კალიარი, პარმა

ლუალაში დაბადებული პატრიკ მკომა მშობლებმა ორი წლისა საფრანგეთში წაიყვანეს, სადაც პარიზში დასახლდნენ და ვაჟს ფეხბურთელის კარიერა „სტად დე ელსტში“ დასწყვიტეს. შემდეგ მკომა „პარი სენ ჟერმენში“ გადავიდა, მაგრამ იქ ჟორჟ ვეა თამაშობდა და... ათხოვეს კიდევ კამერუნელი პარიზელებმა „შატოროს“. იქ ბიჭმა გაიბრწყინა, 29 თამაშში 19 გოლი შეაგდო, რის გამოც „პარი სენ ჟერმენმა“ სასწრაფოდ დაიბრუნა. შემდეგ იყო „მეცი“, 1997 წელს კი მკომა რატომღაც იაპონიაში გაემგზავრა, ჯეი ლეგაში უნდა გამოვიდო, და იქ ორი რეკორდი დაამყარა — ჯეი ლიგის პირველი ჰეთ ტრიქი შეასრულა და ერთ შეხვედრაში თამაშის დაწყებიდან 26 წამში გაიტანა გოლი.

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მკომა იტალიაში წავიდა, სადაც 2000 წლამდე „კალიარიში“ დარჩა, 2000 წლიდან კი „პარამაშია“.

საინტერესოა, რომ პატრიკ მკომა საფრანგეთის მოქალაქეა, მაგრამ კამერუნის ნაკრებში ამაჯობინა თამაში, თუმცა 1995 წლამდე იქ ჩასვლასაც უარობდა. 2000 წელს იგი აფრიკის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.





## ხუან სებასტიან პერონი არგენტინა

დაიბადა: 1975 წლის 9 მარტს  
სიმაღლე: 186 სმ  
წონა: 80 კგ  
კლუბები: ესტუდიანტეს დე ლაპლატა,  
ინდეპენდიენტე, ბოკა ხუნიორსი, სამპდორია,  
პარმა, ლაციო, მანჩესტერ იუნაიტედი

ხუან სებასტიან ვერონი გახლავთ ვაჟი ხუან რამონ ვერონისა ანუ, მეორეხარად რომ ვთქვათ, ლაბრუხიტა ლაბრუხას შვილია. ესე იგი „მანჩესტერ იუნაიტედის“ დღევანდელი ნახევარცენტრის მამა იყო თავდამსხმელი „ესტუდიანტისისა“ და, კიდევ უფრო სხვახარად რომ მოვახერხოთ აზრის გამოთქმა, ვერონი, რომელსაც „იუნაიტედის“ სახელით სხვათა კარში გოლები გააქვს, შვილია იმ ვერონისა, 1968 წელს „ესტუდიანტისის“ სახელით „იუნაიტედის“ კარში ორი ბურთი რომ შეაგდო. რაც შეეხება ლაბრუხას და ლაბრუხიტას, ეს კუდიანს და კუდიანის ნიშნავს.


ვერონი უმცროსი, რომელიც დღეს არგენტინის ძალიან ძლიერი ნაკრების ლიდერია და გულში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვება უღვივის, ბურთის ჩინებული ფლობით, გონივრული პასებით და კარში დარტყმით გახლავთ გამოჩენილი. იგი ამბობს, რომ მის ფეხბურთულად ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულეს მამამისმა და დიეგო მარადონამ — 1996 წელს „ბოკა ხუნიორსში“ ერთადე უთამაშა. გოყდება მანქანებით ქროლაზე, 12 წლიდან ქალებში დაიჭრება, თან ამბობს, რომ მეგობრისა და ძალიან ორი შვილის დედას (3 წლის იანასა და 1 წლის დეიანის), ფლორენსია ვენანას ერთვოლია. რაგინდ გაეცვივრდეთ, უსმენს მოცარტს და ჯანიფერ ლოპესს. სკოლაში ხუან სებასტიან ვერონი ნულსანი იყო.



## ოზუსტინ „ჯეი-ჯეი“ ოკონა ნიგერია

დაიბადა 1973 წლის 14 აგვისტოს  
სიმაღლე 174 სმ  
წონა 70 კგ  
კლუბები: რინჯერს ინტერნეშნალი, ბორუ-სია ნოიენგორტენი, ანტრახტი ფრანკფურტი,  
ფენერბაჩე, პარი სენ ჟერმენი

ჯეი-ჯეის ვეროპაში სახელი 19 წლისას გაუვარდა. მაშინ ფრანკფურტის „ანტრახტი“ თამაშობდა და ქომაგებს საუცხოლო დრიბლინგით ხიბლავდა, თუმცა სამშობლოში უკვე კარგად იცნობდნენ — 16 წლისა ენუგუს „რეინჯერს ინტერნეშნელის“ ძირითადი შემადგენლობის წევრი იყო. ბებერ კონტინენტზე ოკონა ერთობ უცნაურად მოხვდა: არდადეგებზე გერმანიაში შეგობარს ჩააკითხა და ბარემ ნოიენგორტენის „ბორუსიასაც“ ეჩვენა („ბორუსია“ მეთოხე ლიგაში გამოდიოდა), სადაც დატოვეს და 1992 წლამდე ჰყავდათ.



ფრანკფურტში გადაბარებულმა ჯეი-ჯეიმ პირველი პროფესიული კონტრაქტი გააფორმა და ოთხ წელიწადში 18 გოლიც შეაგდო, რომელთაგან ერთი ბუნდესლიგის ისტორიაში ერთ-ერთ უღამაზესად აღიარეს. ეს იყო გოლი „კარლსრუეს“, კერძოდ კი ოლივერ კანის კარში, რომელიც საუცხოლო დრიბლინგს მოჰყვა.

1995-96 წლებში ოკონა სტამბოლში, „ფენერბაჩეში“ გაყიდეს, სადაც ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიგო და ორი სეზონის შემდეგ „პარი სენ ჟერმენში“ გადავიდა.

1996 წელს ჯეი-ჯეიმ ნიგერელ „სუპერარწივებთან“ ერთად ოლიმპიური ოქტოს მედალი მოაპოვა. ამასთან იგი 1994 და 1998 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების მონაწილეა.



## მაიკლ ოუენი ინგლისი

დაიბადა 1979 წლის 14 დეკემბერს  
სიმაღლე 175 სმ  
წონა 67 კგ  
კლუბი: ლივერპული

1998 წლის თებერვალში მაიკლ ოუენი გახდა მე-20 საუკუნის ყველაზე ახალგაზრდა ინგლისელი, ვინც ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის თასი მოიგო. იმ ბედნიერ დღეს ლივერპული 18 წლისა და 59 დღის ვახლდათ.

კაცმა რომ თქვას, მაიკლ ოუენმა რეკორდების დამყარება ჯერ კიდევ ათი წლისამ დაიწყო — ერთ სეზონში 92 გოლი სკოლის ბიჭუნების საერთობრივად რეკორდი გახლდათ. შემდეგ

14 წლის ბიჭი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ბრწყინვალეთა სკოლის მოსწავლე გახდა, ხოლო 1996 წელს „ლივერპულის“ ხალგაზრდული გუნდი ასოციაციის ასაკობრივი თასის მფლობელი გახდა.

17 წლის რომ მოიყარა, მაიკლს დაბადების დღეზე პროფესიული კონტრაქტი გაუფორმეს. არადა იმ წლის მაისში უკვე „ლივერპულის“ შემადგენლობაში ჰქონდა ნათამაშევი.

1998 წლის თებერვალში ოუენი ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი გახდა (პირველსავე შეხვედრაში, ჩილესთან, საუკეთესოდ დასახელეს), ხოლო სამი თვის შემდეგ მაროკოელთა კარში პირველი „სანაკრებო“ გოლიც გაიტანა. იმავე წლის ივნის-ივლისში იოუნემ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა და ვარსკვლავის სახელი დაიგდო. განსაკუთრებით დიდებული გახლდათ მის მიერ არგენტინელთა კარში გატანილი გოლი. მაშინ ინგლისელში „მილანი“ 50 მილიონ დოლარს იხდოდა, მაგრამ ბიჭმა „ლივერპულს“ უერთვოლა.

დაუფასდა კიდევ: დღეს მაიკლ ოუენი — ძალიან მდიდარი კაცია და ლივერპულის ერთ-ერთი ქუჩის ნაწილი იყიდა ჩემი და ცოლის ნათესაობა უნდა დავასახლო.

## ჰენრიკ ლარსონი შვედეთი

დაიბადა 1971 წლის 20 სექტემბერს  
სიმაღლე 178 სმ  
წონა 75 კგ  
კლუბები: ჰოვანორგი, ჰელსინგბორგი, ფეინიორ-რდი, სელტიკი

ფერადკანანი შვედი გლაზგოს „სელტიკში“ თამაშობს, ხოლო „სელტიკის“ უდიდესი და უბოროტესი მეტოქის, გლაზგოსავე „რეინჯერსის“ მწვერთნილი დიკ ადვოკატი ამბობს, რომ ლარსონი არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტას ტოლფასი ფორვარდია — ამაზე დიდი კომპლიმენტი არ არსებობს.


ჰელსინგბორგში დაბადებული ლარსონი დედით შვედია, ხოლო მამით — შვედურ კონცხის კუნძულები. ბავშვობიდან ფეხბურთზე შერყეულს არასდროს დაუსვამს კითხვა: „რა უნდა გამოვიდე?“ თამაში ხუთი წლისამ დაიწყო.

შვედელის ნაკრებში ლარსონმა პირველად 1993 წლის ოქტომბერში ითამაშა. ეს გახლდათ შეხვედრა ფინელებთან, რომელიც შვედთა გამარჯვებით, 3:2 დასრულდა და სამიდან ერთი გოლი მან გაიტანა. იმავე წელიწადს ფერადკანიანმა შვედმა „ფეინიორ-რდთან“ კონტრაქტს მოაწერა ხელი და 15 შეხვედრაში მხოლოდ ერთი ბურთის შეგდება შეძლო, მაგრამ არ გაუწყინენ და შემდეგ ორ წელიწადში მეტოქეთა რისხვად იქცა.

ჰოლანდიაში გატარებული ოთხი წლის შემდეგ ლარსონმა ჩემოდანი ჩააღავა და მოტლანდიას მიაშურა, სადაც „თეიორ-შვედენს“ ბოლო ათ წელიწადში პირველი ტიტულის მოპოვებაში დაეხმარა.

1999 წელს ფეხის ტრავმამ მისი კარიერის გაგრძელება კინაღამ სათუო გახადა, მაგრამ შეუპოვარი შვედი თვეში ისევ მინდორზე იდგა და ნაკრებს „ეკრო 2000“-ზე მოხვედრაში ეხმარებოდა.

ჰენრიკ ლარსონს ჰყავს მეუღლე და 4 წლის ვაჟი, სახელად ჯორდანი — დიდი აჭერაკული კალათბურთელის მაიკლ ჯორდანის პატივსაცემად.



## პაოლო მალდინი იტალია

დაიბადა 1968 წლის 16 ივნისს  
სიმაღლე 185 სმ  
კლუბი: მილანი

პაოლო მალდინი, 60-იანი წლების „მილანის“ დიდი ვარსკვლავისა და შემდგომში ცნობილი მწვრთნელის ჩეზარე მალდინის ვაჟი, უთუოდ ახარებს მამულის გულს, რადგან, ანდრეის თანახმად, ის ურჩევნია მამულსა...

პაოლო ბავშვობიდან „მილანშია“. სერია A-ში პირველად 16 წლისამ, 1985 წელს, „იუვენტუსის“ წინააღმდეგ ითამაშა და დღემდე ხუთი სკუდეტო, სამი ჩემპიონთა თასი, ევროპის სუპერთასი და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ჯილდო დააგროვა. ნაკრებში 1988 წლის მარტიდანაა. უთამაშია მსოფლიოს სამ ჩემპიონატში. ერთხელ, 1994 წელს ფინალისტიც გახდა.

ახლა მის საფეხბურთო თვისებებზე საუბარი ნამდვილად ზედმეტად მიგვაჩნია, რადგან მალდინი ნიადაგ თვალწინაა და მის შესახებ ყველამ ყველაფერი იცის. მოედანს მიღმა, პირად ცხოვრებაში, ის წყნარი და ოჯახის ერთგული კაცია. ჰყავს მეუღლე, ყოფილი ფოტომოდელი ადრიანა ფოსა, ვაჟი ადრიანი, რომელიც 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის დღეებში დაიბადა, ცხოვრობს მილანს გარეთ და ხშირად მონაწილეობს რეკლამებში.



## კვატეროკ ბლანკო მექსიკა

დაიბადა 1973 წლის  
17 იანვარს  
სიმაღლე 177 სმ  
წონა 71 კგ  
კლუბები: ამერიკა, ნეკაქსა, ვალიადოლიდი

მეხიკოში დაბადებული-გაზრდილი კვატეროკ ბლანკო, მოგეხსენებათ, ოთხი წლის წინ საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზეც თამაშობდა და, შესაბამისად, ძალიან გამოცდილი ფეხბურთელია. ასე რომ, მექსიკის ნაკრებისთვის იგი მხოლოდ გოლებით კი არ არის მნიშვნელოვანი, მას ახალგაზრდები ჰბაძავენ და მის სიტყვას წონა აქვს.

პროფესიულ ფეხბურთში 1983 წელს „ამერიკის“ შემადგენლობაში გამოჩნდა, შემდეგ „ნეკაქსაშიც“ თამაშობდა, ხოლო დღეს ესპანეთის პრიმერადივიზიონში გამოდის.

გეხსონებთ ასეთი იდეით: ფეხბურთელი ბურთს კოჭებს შორის იჭერს და მოწინააღმდეგის ფეხს ახტება. იგი კვატეროკ ბლანკოს მოვინილია და ამიტომაც შეერქვა „კვატემინა“.



## ალენ ბოკშიჩი სორვატია

დაიბადა 1970 წლის  
31 იანვარს  
სიმაღლე 187 სმ  
წონა 81 კგ  
კლუბები: პაიდუცი, კოპნი, მარსელი, ლაციო, იუვენტუსი, მიდლსბრო

თავისი თაობის ხორვატ ფეხბურთელია მსგავსად, ბოკშიჩი თავიდან იუგოსლავიის ლიგაში და, ცხადია, ნაკრებშიც გამოდიოდა. 1990 წელს ივიცა ოსიმმა იგი იტალიაში, მსოფლიოს ჩემპიონატზეც წაიყვანა, მაგრამ მოედანზე ერთი წუთითაც არ შეუშვია. საინტერესოც სწორედ ეს არის, რადგან გაირკვა, რომ ფეხბურთელი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანეს და არ ათამაშეს, იუგოსლავიაში სხვა არავინ ყოფილა.

ერთი წლის შემდეგ ბოკშიჩი „მარსელმა“ იყიდა, მაგრამ რაკი გუნდში სამი უცხოელი უკვე თამაშობდა, „კანს“ ათხოვა. მერე გაირკვა, რომ „კანს“ თავისი უცხოელებიც თავზე საყრდელ ჰყავდა და ბოკშიჩი ისევ მარსელში ჩავიდა. ერთი სიტყვით, ხორვატი იმ სეზონში საფრანგეთში ცხოვრობდა და გუნდთან ერთად ვარჯიშობდა, თამაშით კი არ უთამაშია.

1992-93 წლების სეზონში ბოკშიჩის საქმე სხვანაირად წავიდა — იგი გერმანულ ვარსკვლავთან რუდი ფოლერთან და კამერუნელ ფრანსუა ომამ-ბიოტთან ერთად „მარსელის“ მრისხანე ტრიოში შედიოდა, ამასთან სეზონის საუკეთესო ბომბარდირის სახელიც მოიპოვა, საფრანგეთის ჩემპიონიც გახდა და, არც მეტი, არც ნაკლები, ევროპის ჩემპიონთა ლიგაც მოიგო.


შემდეგ, „მარსელი“ ფინანსურ გასაჭირში ჩავარდა და ბოკშიჩი „ლაციოს“ მიჰყიდეს. გატარებული ერთი სეზონის შემდეგ ხორვატი „იუვენტუსში“ გადავიდა, მერე ისევ „ლაციოში“ დაბრუნდა, ხოლო დღეს ინგლისის „მიდლსბროში“ თამაშობს.



## აგუსტინს ხავიერ დელგადო კალა ეკვატორი

დაიბადა 1974 წლის 2  
დეკემბერს  
სიმაღლე 187 სმ  
წონა 83 კგ  
კლუბები: ესპალი, ბარსელონა დე გუაიკოლი, კრუს ასული, ნეკაქსა, საუთჰემპტონი

ხომ ამბობენ, ფეხბურთის ნიჭი თუ არ დაგვყვა. დიდს ვერაფერს მაიღწევო. თუ ეკვატორელი დელგადოს მაგალითს გავიხსენებთ, ტყუილად უთქვამთ, აბა, როგორ, კარიერა „ესპოლში“ ჩამოყალიბებულ მკველად დაიწყო



და დღეს სამხრეთამერიკელ თავდამსხმელთაგან ერთ-ერთი უძლიერესია, არგენტინელი ერნან კრესოსო გვერდითაც კი აყენებენ.

მისი დიდი დამსახურებაა, ეკვატორის ნაკრები ისტორიაში პირველად მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ მიხვდა. დელგადოს მეტსახელად „ელ ტინს“ ეძახიან. იგი თავდამსხმელად „ბარსელონა დე გუაიკოლი“ იქცა, შემდეგ კი კოლუმბიისა და მექსიკის კლუბებში მოსინჯა ძალა. განსაკუთრებით მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატებში გაითქვა სახელი და 2001 წელს პრემიერლიგაშიც გადავიდა, ანუ ევროპაში მოთამაშე პირველი ეკვატორელი გახდა.



## პიდეტოში ნაკატა იაპონია

დაიბადა 1977 წლის 22 იანვარს  
სიმაღლე 175 სმ  
წონა 72 კგ

კლუბები: შონან ბელმარე, პერუჯა, რომა, პარმა

1998 წელს ნაკატას მეტსახელად „დამალული“ შეარქვეს და აზიის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მანამდე ასე ახალგაზრდას ამ კონტინენტზე საუკეთესოს სახელი არ რეგბია. მან საერთოდ აღრე დაიწყო ბურთის თამაში — 9 წლისა გახლდათ. თოთხმეტისა უკვე იაპონიის ყმაწვილთა ნაკრების წევრი იყო. ცხადია, „ჯეი ლივის“ სელექციონერებსაც არ გასჭირვებიათ მისი უნარის შემჩნევა და, სკოლა დაამთავრა თუ არა, „შონან ბელმარეში“ პროფესიული კონტრაქტი გაუფორმა.

1994 წლის მაისში ნაკატა ნაკრებში ათამაშეს. მას შემდეგ იგი იაპონიის ნაკრებისთვის შეუცვლელი თავდამსხმელია და 1998 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშა.


მუნდიალის შემდეგ იაპონელი იტალიაში, კერძოდ, „პერუჯაში“ გადავიდა, პირველსვე შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა და გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახდა. 2000 წელს „რომაში“ მასში 17 მილიონი დოლარი გადაიხადა, მან კი სანაცვლოდ „სკუდეტოს“ მოპოვებაში დიდი წვლილი შეიტანა და „პარმაში“ 29,6 მილიონ დოლარად გაიყიდა.

ცხოვრებაში კი ნაკატა არატიპური იაპონელია — საკუთარ თავში გამომწვევად დარწმუნებული. თმა წითლად კი შეიღება და ავტოგრაფებს არ არიგებს, მსახიობი კი არა ვარო.

დაიბადა 1978 წლის 4 ივლისს  
სიმაღლე 177 სმ  
წონა 75 კგ

კლუბები: როიალ ლეოპოლდ კლუბ მესინი, კურტრაი, როიალ მუსკრონი, სდანდარდი, შალკე 04

## ემილ მპენზა ბელგია



2000 წელს ემილ, იგივე ლოკონდა მპენზა ლიეჟის „სტანდარდიდან“ გერმანიის „შალკეში“ 9 მილიონ ევროდ გადავიდა.

კარიერა ძმასთან, სახელად მბოსთან ერთად დაიწყო უსახელო და პრესტიჟის არმქონე კლუბებში და მასთან ერთადვე გადავიდა „სტანდარდში“. ძმების სამწუხაროდ, იმ წელიწადს ლიეჟელებს სამაგული სეზონი დაუდგათ (მერე რა, რომ ბელგიის თასის ფინალში გავიდნენ), ამასთან კლუბი ფინანსურ გასაჭირში ჩავარდა და მპენზებიც გასაყიდად გაიყვანეს ბაზარზე — მბომ თავი პორტუგალიაში ამოყო, ემილმა ანუ ლოკონდამ კი, როგორც მოგახსენეთ, გერმანიაში.

ემილ მპენზას ნაკრების მაისურა პირველად 1994 წელს მონარგეს და მას მერე არც გაუხდია — 1998 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე 20 წლისაც კი არ იყო, არადა, სამივე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

სწრაფი, ღონიერი, ორივე ფეხით მარჯვე მპენზა დღეს ბელგიის ეროვნული გუნდის ერთ-ერთი ვარსკვლავია.

## მიხტორ მონაკო რუსეთი

დაიბადა 1969 წლის  
14 ოქტომბერს  
სიმაღლე 178 სმ  
წონა 75 კგ

კლუბები: შხტიორი, დინამო (კიევი), სპარტაკი, ოფედო

ონოპკო წესითა და რიგით უკრაინელია, მაგრამ 1992 წელს დსთ-ის ნაკრების დამლის შემდეგ რუსობა ამჯობინა. 9 წლისა იგი დონეცკის „შხტიორის“ ბავშვთა გუნდში მივიდა, ხოლო ყმაწვილკაცობაში ჯარში ანუ კიევის



„დინამოში“ გაიწვიეს, სადაც ძირითადად დაიკვიდრა ადგილი. 1991 წელს „სპარტაკში“ გადასვლის შემდეგ მოსკოველთა საყვარელი ფეხბურთელი გახდა.

ონოპკომ ნაკრებში პირველად 1992 წელს ითამაშა ინგლისის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ (2:2), ხოლო 1995 წელს ესპანეთის მიაშურა და „ოვეილოს“ წევრი გახდა.

## ადელ სელიმი ტუნისი

დაიბადა 1972 წლის  
16 ნოემბერს  
სიმაღლე 180 სმ  
წონა 73 კგ

კლუბები: კლუბ აფრიკან დე ტუნისი, ნანტი, რეალ ხენი, ფრაიბურგი

ათი წლის სელიმს „კლუბ აფრიკან დე ტუნისში“ რომ მიდიოდა, საიდან უნდა ცოდნოდა, თუ იქიდან მხოლოდ 14 წლის შემდეგ წავიდოდა ტუნისის ორგზის ჩემპიონისა და თასის მფლობელის რანგში. ნაკრებში პირველად 1993 წელს ითამაშა გერმანიის წინააღმდეგ და მას შემდეგ 70-ზე მეტ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

1996 წელს „ნანტიში“ გადასულს იქაურებმა „ფილტვი“ შეარქვეს — მიზეზი გასაგებია, ყოველ შეხვედრაში უამრავ კილომეტრს გარბოდა — მაგრამ გუნდს ზვირანად მაინც ვერ მოერგო და ტუნისში დაბრუნდა. იქიდან ესპანურ „ხენში“ ამოყო თავი და ისევ იმეგავცრუებული დარჩა.

1998 წელს სელიმი გერმანიის „ფრაიბურგში“ გადავიდა, სადაც თავს მიაგნო, ფირმა აღიდგინა და დღემდე თამაშობს ქართველების — ლევან კობიაშვილის, ალექსანდრე იაშვილისა და ლევან ცქიტიშვილის მხარდამხარ.





# იაპონია

ტერიტორია: 377 835 კვადრატული კილომეტრი

მოსახლეობა: 126 მლნ. 200 ათასი კაცი.  
ეროვნული შემადგენლობა: იაპონელები (99,4 %), კორეელები (0,5 %), ჩინელები, აინები.

ენა: იაპონური  
დედაქალაქი: ტოკიო  
უდიდესი ქალაქები: ტოკიო (11 მლნ. 600 ათასი), იოკოჰამა (3 მლნ. 300 ათასი), ოსაკა (2 მლნ. 600 ათასი), ნაგოია (2 მლნ. 150 ათასი), საპორო (1 მლნ. 600 ათასი)

ადმინისტრაციული დაყოფა: 43 პრეფექტურა, 3 ოლქი (ტოკიო, ოსაკა, კიოტო) და 30 კაიდაოს საგუბერნატორო

მმართველობის ფორმა: კონსტიტუციური მონარქია

რელიგია: სინტიზმი, ბუდიზმი, ქრისტიანობა (0,7%), თითქმის ყველა იაპონელი სინტიზმისა, რომელთა უმრავლესობა ბუდიზმსაც აღიარებს.

სახელმწიფოს მეთაურა იმპერატორ აკიჰიტო

მთავრობის მეთაურია: პრემიერ-მინისტრი იუნიხირო კიიხუმი

ფულის ერთეული: იაპონური იენა



ტოკიო — ელექტრონული ქალაქი

# თანამასკინებელი...

იაპონია და კორეა ისტორიული მეზობლები და ისტორიული მოქიშპეები არიან. მათ საერთოც ბევრი აქვთ და განსხვავებულიც. ვთქვათ, საერთოა ის, რომ ორივეს ძველი კულტურა ჩინურის დიდ ზეგავლენას განიცდის, მაგრამ მათ აქვთ საკუთარი ენა, რელიგია, ტრადიციები და სახელმწიფოებრიობა. დღეს ორივე დაღაგებული და წელში გამართული ქვეყანაა, წარსულში კი ბევრი ჭირ-ვარამი და დამცირება გადაუტანიათ (უფრო კორეელებს). ძველ ამბებს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც 1945 წლის 6 და 8 აგვისტო რად ღირს, როცა ამერიკელებმა იაპონურ ხიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბები ჩამოაგდეს, ანდა პლანეტის უსაშინელები მიწისძვრა გავიხსენოთ, 1923 წელს ტოკიო და იოკოჰამა ლამის მთლიანად რომ დაანგრია და დაახლოებით 130 ათასი ადამიანი დაიღუპა.

კორეა-იაპონიის ურთიერთობებს კეთილმეზობლურს ვერაფრით დავარქმევთ. მართა-

ლა, ბოლო დროს სახელმწიფო დონეზე ორივე ქვეყანა დაახლოებას ცდილობს, მაგრამ ისტორიული წყენის დაფიქვებას კიდევ დიდი დრო დასჭირდება, მით უმეტეს, ის კორეელები ჯერაც ცოცხლები არიან, საკუთარ თავზე რომ გამოუცდათ იაპონელთა უღელი.

საკუენების მანძილზე იაპონიამ იმდენჯერ დაიპყრო და დაამცირა კორეა, რომ რამდენიმე წლის წინათ იაპონიის მთავრობამ ოფიციალური ბოდიში მოუხადა მეზობლებს.

ამათი ურთიერთობის უკეთ გასაგებად ბოლო ანექსიის მაგალითი მოვიყვანოთ. 1905 წლიდან კორეა პოლიტიკურ-ეკონომიკურად იაპონელთა უღელქვეშ მოექცა, 1910 წლიდან კი იაპონიის იმპერიის ნაწილი გახდა. ჯერ კიდევ დაპყრობამდე იაპონელებმა კორეელთა უკანასკნელი მონარქი, მეფე კოჯონი აიძულეს ტახტი თავისი უნიათო ვაჟისთვის გადაეცა, რომელიც მალევე იაპონელ დიდგვაროვან ქალზე დაქორწინეს და ქვეყნის მართვა, ფაქტობრივად, იაპონელთა გენერალ-გუბერნატორებმა დაიწყეს.

სხვაგან სად არის... ტოკიო





სეულში დიდი ფეხ-ბურთია

# კორეა



ტერიტორია: 98 480 კვადრატული კილომეტრი  
 მოსახლეობა: 47 მლნ. კაცი  
 ეროვნული შემადგენლობა: ძირითადად კორეელები, 20 ათასამდე ჩინელი, 15 ათასამდე იაპონელი  
 ენა: კორეული  
 დედაქალაქი: სეული  
 უდიდესი ქალაქები: სეული (10 მლნ), პუსანი (4 მლნ), ტეგუ (2 მლნ), ინჩხონი (2 მლნ)

ადმინისტრაციული დაყოფა: 9 პროვინცია მმართველობის ფორმა: რესპუბლიკა  
 რელიგია: ქრისტიანობა (49%), ბუდიზმი (47%), კონფუციანელობა (3%), შამანიზმი, ჩინოკოი (ლეთავერივი ვ ზის რელიგია) და სხვები — 1%

სახელმწიფოს მეთაური: პრეზიდენტი კიმ ტე იუნგი (1998 წლიდან, არჩეულია 5 წლით)  
 მთავრობის მეთაური: პრემიერ-მინისტრი პაკ ტე ჩუნი (2000 წლიდან, ნიშნავს პრეზიდენტი)

ფულის ერთეული: კორეული ვონი

წლების განმავლობაში იაპონელი იმპერიალიზმები დაპყრობილებს საშინლად ექცოდნენ. მაგალითად 1921 წლამდე კორეელებს საკუთარენოვანი გაზეთის გამოცემა ეკრძალებოდათ. 1930-45 წლებში მათი აშკარა ასიმილაციის მცდელობა დაიწყო. 1937-ში კორეულ სკოლებში მშობლიური ენა აუკრძალეს და ბავშვებსა და მათ მასწავლებლებს მხოლოდ იაპონურად ლაპარაკის უფლება მისცეს, 1939-იდან კი, კიდევ ერთი ბრძანების მიხედვით, გვარების იაპონურად გადაკეთება მოსთხოვეს. დაახლოებით ერთ წელიწადში კორეელთა 84 პროცენტი იძულებული გახდა ეს ბრძანება შეესრულებინა.

ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები 60-იანი წლებიდან დათბა (თუმცა ამ დროისთვის კორეა უკვე ორად იყო გაყოფილი. 1948 წელს ქვეყნის ჩრდილო ნაწილი საბჭოელებს დარჩათ, ხოლო სამხრეთი — ამერიკელებს). 1965 წლის 18 დეკემბერს, აშშ-ის ზეწოლთ, კორეა-იაპონიამ დიპლომატიური სამსახურები აღადგინეს და მას შე-

მდეგ მრავალ სფეროში თანამშრომლობენ. სეულსა და ტოკიოში თითქმის ყოველ წელიწადს ეწყობა კონფერენციები, რომლებზეც პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების პერსპექტივებს განიხილავენ.

1998 წელს ამ ქვეყნების უმაღლესმა პირებმა ხელი მოაწერეს 21-ე საუკუნეში პარტნიორობის ხელშეკრულებას. მათი მშვიდობიანი თანაცხოვრება ხომ ძალიან მნიშვნელოვანია მთლიანად აღმოსავლეთ აზიისთვის, როგორც ვარაუდობენ, მათს დაახლოებას საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატიც შეუწყობს ხელს.

ერთადერთი, რაზედაც დღემდე ვერ მორიგებულან, ტაკაშიმას კუნძულების საკითხია. იაპონელებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ისტორიული დოკუმენტებისა თუ საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპების თანახმად, ტაკაშიმა მათი განუყოფელი ნაწილია. მაგრამ აბა, ახლა კორეელებს ჰკითხეთ...




იაპონიის პრემიერ-მინისტრი იუნხირო კოიზუმი (მარცხნივ) და კორეის პრეზიდენტი კიმ ტე იუნგი



REUTERS

REUTERS

ძველ-ახალი სეული





# მსოფლიოს ჩემპიონატი 2002



A ჯგუფი	მ	უ	ნ	ბ	ქ	პ
<b>საფრანგეთი</b>						
<b>სენეგალი</b>						
<b>ურუგვაი</b>						
<b>დანია</b>						
31 მაისი, სეული, 15.30	საფრანგეთი - სენეგალი					
1 ივნისი, ულსანი, 13.00	ურუგვაი - დანია					
6 ივნისი, ჰუსანი, 10.30	საფრანგეთი - ურუგვაი					
6 ივნისი, ტაშუ, 15.30	დანია - სენეგალი					
11 ივნისი, ინჩონი, 10.30	დანია - საფრანგეთი					
11 ივნისი, სეული, 10.30	სენეგალი - ურუგვაი					

E ჯგუფი	მ	უ	ნ	ბ	ქ	პ
<b>გერმანია</b>						
<b>საუდათი</b>						
<b>ირლანდია</b>						
<b>კამერუნი</b>						
1 ივნისი, ნიიგაბა, 10.30	ირლანდია - კამერუნი					
1 ივნისი, საჯორო, 15.30	გერმანია - საუდათი					
5 ივნისი, ინჩონი, 15.30	გერმანია - ირლანდია					
6 ივნისი, სანიტაბა, 13.00	კამერუნი - საუდათი					
11 ივნისი, სიძაუა, 15.30	კამერუნი - გერმანია					
11 ივნისი, იოჯუჯა, 15.30	საუდათი - ირლანდია					

B ჯგუფი	მ	უ	ნ	ბ	ქ	პ
<b>ესპანეთი</b>						
<b>სლოვენია</b>						
<b>პარაგვაი</b>						
<b>სამხ. აფრიკა</b>						
2 ივნისი, ჰუსანი, 11.30	პარაგვაი - სამხრეთ აფრიკა					
2 ივნისი, ჰანჯუ, 15.30	ესპანეთი - სლოვენია					
7 ივნისი, ჩონჯუ, 13.00	ესპანეთი - პარაგვაი					
8 ივნისი, ტაშუ, 10.30	სამხრეთ აფრიკა - სლოვენია					
12 ივნისი, ტაჯონი, 15.30	სამხრეთ აფრიკა - ესპანეთი					
12 ივნისი, სეული, 15.30	სლოვენია - პარაგვაი					

F ჯგუფი	მ	უ	ნ	ბ	ქ	პ
<b>არგენტინა</b>						
<b>ნიგერია</b>						
<b>ინგლისი</b>						
<b>შვედეთი</b>						
2 ივნისი, სანიტაბა, 9.30	ინგლისი - შვედეთი					
2 ივნისი, ინჩონი, 13.30	არგენტინა - ნიგერია					
7 ივნისი, სეული, 10.30	შვედეთი - ნიგერია					
7 ივნისი, საჯორო, 15.30	არგენტინა - ინგლისი					
12 ივნისი, სიძაუა, 10.30	შვედეთი - არგენტინა					
12 ივნისი, ოსაბა, 10.30	ნიგერია - ინგლისი					

C ჯგუფი	მ	უ	ნ	ბ	ქ	პ
<b>ბრაზილია</b>						
<b>თურქეთი</b>						
<b>ჩინეთი</b>						
<b>კოსტა რიკა</b>						
3 ივნისი, ულსანი, 13.00	ბრაზილია - თურქეთი					
4 ივნისი, ჰანჯუ, 10.30	ჩინეთი - კოსტა რიკა					
8 ივნისი, სეული, 15.30	ბრაზილია - ჩინეთი					
9 ივნისი, ინჩონი, 13.00	კოსტა რიკა - თურქეთი					
13 ივნისი, სეული, 10.30	კოსტა რიკა - ბრაზილია					
13 ივნისი, სეული, 10.30	თურქეთი - ჩინეთი					

G ჯგუფი	მ	უ	ნ	ბ	ქ	პ
<b>იტალია</b>						
<b>ექვატორი</b>						
<b>სორვაბია</b>						
<b>მექსიკა</b>						
3 ივნისი, ნიიგაბა, 10.30	სორვაბია - მექსიკა					
3 ივნისი, საჯორო, 15.30	იტალია - ექვატორი					
8 ივნისი, ინჩონი, 13.00	იტალია - სორვაბია					
9 ივნისი, სიძაუა, 10.30	მექსიკა - ექვატორი					
13 ივნისი, ოიბა, 15.30	მექსიკა - იტალია					
13 ივნისი, იოჯუჯა, 15.30	ექვატორი - სორვაბია					

D ჯგუფი	მ	უ	ნ	ბ	ქ	პ
<b>კორეა</b>						
<b>პოლონეთი</b>						
<b>აშშ</b>						
<b>პორტუგალია</b>						
4 ივნისი, ჰუსანი, 15.30	კორეა - პოლონეთი					
5 ივნისი, სეული, 13.00	აშშ - პორტუგალია					
10 ივნისი, ტაშუ, 10.30	კორეა - აშშ					
10 ივნისი, ჩონჯუ, 15.30	პორტუგალია - პოლონეთი					
14 ივნისი, ინჩონი, 15.30	პორტუგალია - კორეა					
14 ივნისი, ტაჯონი, 15.30	პოლონეთი - აშშ					

H ჯგუფი	მ	უ	ნ	ბ	ქ	პ
<b>იაპონია</b>						
<b>ბელგია</b>						
<b>რუსეთი</b>						
<b>ტუნისი</b>						
4 ივნისი, სანიტაბა, 13.00	იაპონია - ბელგია					
5 ივნისი, სეული, 10.30	რუსეთი - ტუნისი					
9 ივნისი, იოჯუჯა, 15.30	იაპონია - რუსეთი					
10 ივნისი, ოიბა, 13.00	ტუნისი - ბელგია					
14 ივნისი, ოსაბა, 10.30	ტუნისი - იაპონია					
14 ივნისი, სიძაუა, 10.30	ბელგია - რუსეთი					

მარჯვდღივნი	
15 ივნისი, სეული, 10.30	17 ივნისი, ჩონჯუ, 10.30
<b>E1</b>	<b>G1</b>
<b>B2</b>	<b>D2</b>
1	5
15 ივნისი, ნიიგაბა, 15.30	17 ივნისი, სეული, 15.30
<b>A1</b>	<b>C1</b>
<b>F2</b>	<b>H2</b>
2	6
16 ივნისი, ოიბა, 10.30	18 ივნისი, სიძაუა, 10.30
<b>F1</b>	<b>H1</b>
<b>A2</b>	<b>C2</b>
3	7
16 ივნისი, სეული, 15.30	18 ივნისი, ტაჯონი, 15.30
<b>B1</b>	<b>D1</b>
<b>E2</b>	<b>G2</b>
4	8

მართხდღივნი	
21 ივნისი, სიძაუა, 10.30	
<b>2</b>	<b>a</b>
<b>6</b>	
21 ივნისი, ულსანი, 15.30	
<b>1</b>	<b>b</b>
<b>5</b>	
22 ივნისი, ჰანჯუ, 10.30	
<b>4</b>	<b>c</b>
<b>8</b>	
22 ივნისი, ოსაბა, 15.30	
<b>3</b>	<b>d</b>
<b>7</b>	

ნახევარფინალი	
25 ივნისი, სეული, 15.30	
<b>b</b>	
<b>c</b>	
26 ივნისი, სანიტაბა, 15.30	
<b>a</b>	
<b>d</b>	
29 ივნისი, ტაშუ, 15.00	
მეფინალი III ადგილისთვის	
30 ივნისი, იოჯუჯა, 15.00	
ფინალი	

# ატმოსფეროები



ერმანიის საფეხბურთო კავშირმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მიუნხენის „ბაიერნის“ 31 წლის ნახევარმცველი მეჰმეთ შოლი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს. ზურგისა და თეძოს კუნთის ტრავმა შოლს დიდი ხანია სტანჯავს. კლუბის ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ ეს გადაწყვეტილება თავად მიიღო: „ვწუხვარ, რომ რუდი ფილერის გუნდს ვერაფრით დავეხმარები“, — თქვა შოლმა. არადა ბუნდესნაკრების შუა ხაზში ის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო: „ბოლომდე მჯეროდა, რომ შოლი მუნდიალზე წამოსვლას შეძლებდა, მაგრამ რაღა გაეწყობა. კარგად მესმის ფეხბურთელის“, — დაამატა ფილერმა.

გერმანელ ვარსკვლავთან შოლი, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე უიღბლოა. 1994 წელს ის აშშ-ის მსოფლიოს თასზე წამსვლელთა საიში იყო, მაგრამ მამინდელმა მწვრთნელმა ბერტი ფოტსმა შინ დატოვა „ვერო 96“ და საფრანგეთის მუნდიალი ტრავმის მიზეზით გამოტოვა, ხოლო „ვერო 2000“-ზე გერმანელთან ტურნირის ერთადერთი გოლი გაიტანა.

გერმანელები აღნიშნავენ, რომ ტრავმების ეპიდემიამ მათი ეროვნული გუნდი, შესაძლოა, ცუდ დღეში ჩაგდოს. ცნობილია, რომ შოლის გარდა კორეა-იაპონიაში ვერ გაეგზავნებოდა მისი თანაგუნდელი, თავდასხმელი ალექსანდრ ციკლერი, „ლივერპუზის“ კაპიტანი იენს ნოვოტნი, ჰერტლეების, შუახაზელი სებასტიან დაისლერისა და მცველ მარკო რემერის წასვლა-არწასვლის ამბავი ჯერაც გაურკვეველია. არადა, დაისლერს გერმანული ფეხბურთის მთავარ იმედს უწოდებენ და ფიქრობენ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე სწორედ მისი დრო დადებოდა.



მეჰმეთ შოლი

უკორეის ნაკრები ჯგუფიდან გავა, თითოეული ფეხბურთელი 77 ათას დოლარს და დამატებით „ჰიუნდაის“ მარკის ავტომობილს მიიღებს. ამ საავტომობილო კომპანიამ თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდს უკვე აჩუქა ასალი ავტობუსი, რომელზეც სატელევიზიო ვიდეოსისტემა დამონტაჟებულია.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ასევე გამოაცხადა, რომ მერვედფინალში გასვლის შემთხვევაში ჰოლანდიელ მწვრთნელს გუუს ჰინდინკს 990 ათას დოლარს გადაუხდის. საინტერესოა, რამდენს მიიღებენ კორეელები. მეთხედფინალში ან უფრო შორს თუ გააღწიეს?



ტალიის ნაკრების მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ თქვა, შესაძლოა, კორეა-იაპონიაში რობერტო ბაჯო წავიყვანო. ამ განცხადებაზე, ცხადია, იტალიური საზოგადოება დიდად დააინტერესა: „არასოდეს თქვა არასოდეს“, ფილოსოფიურად დასძინა ტრაპატონიმ ტელეკომპანია „რაი“-სთან ინტერვიუში, — ბაჯოს ყურადღებით ვაკვირდები და გამორიცხული არაფერია“.

ეტყობა, ტრაპატონი ყოყმანობს. ახლახან მან სამსოფლიო ჩემპიონატზე წინასწარი შემადგენლობა დაასახელა და იქ ბაჯოს გვარი არ ეწერა, მაგრამ ბუდისტის უცარმა გამოჯანმრთელებამ და სერია A-ში კვლავ გამობრწყინებამ მაესტრო ტრაპას გადაწყვეტილება შეაცვლევინა.

თავად ბაჯომ განაცხადა, რომ უსახვროდ გახარებულია ამ სიახლით და მდიდარსა და

ტიფოზებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. შეგახსენებთ, რომ ბაჯო ბოლო სამ მსოფლიოს ჩემპიონატზე „სკუადრა აძურას“ გამორჩეული ფეხბურთელი იყო.

და კიდევ, მუნდიალის დროს იტალიის ეროვნული გუნდისთვის კერძებს ავსტრალიური ხორცისაგან დაზავდებენ. რატომ მინცდამინც ავსტრალიურისგან? იმიტომ, რომ იაპონიაში ციმბირის წყლის შიშით ევროპული ხორცის შეტანა აკრძალულია, აქინილებს კი დაუდგენიათ, რომ ავსტრალიური ხორცი ყველანაშე მეტად ჰგავს იტალიურს.

გარდა ამისა, „აბურა“, ცხადია, ბლომად მოიმარაგებს მაკარონსა და ყველს. პროდუქტებს სენდაის საწვრთნელ ბაზაზე მისი ბოლოს თვითმფრინავით ჩაიტანენ.

ნგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანს ალან შირერს (ფოტოზე), ვინც ახლახან პრემიერლიგაში თავისი მე-200 გოლი გაიტანა, კორეა-იაპონიაში თავისიანების წარმატებისა არ სწამს. მისი აზრით, გარდა იმისა, რომ ძნელ ჯგუფში მოხვდნენ, ინგლისელებს ხელს დაღლილობა და პრაქტიკის უქონლობა შეუშლის. გამარჯვების ყველაზე რეალურ კანდიდატებად იგი ბრაზილიასა და საფრანგეთს მიიჩნევს: „ინგლისელ ფეხბურთელთა დღევანდელი თაობის ჭეშმარიტ ძალას მომავალ ევროპის ჩემპიონატზე დაეინახათ — ამბობს შირერი — დღეისათვის კი ბექემს, სქოლუზს, ჯერარდსა და ოუენს მხოლოდ კარგი ფეხბურთის თამაში შეუძლიათ“.

შირერმა, ვისაც ნაკრების 63 მატჩში 30 გოლი აქვს გატანილი, დასძინა, რომ ამგვარი ეჭვის მიუხედავად, თავის გუნდს სულითა და გულით უჭიმავებს.

რაღაც მსგავსი ამას წინათ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმაც თქვა,




ოლნდ გამარჯვების მთავარ კანდიდატად იტალია დაასახელა: „იტალიელებს ევროპის გასულ ჩემპიონატზე არ გაუშართლათ, მაგრამ დღესაც ძალიან ძლიერად თამაშობენ, ნესტა, კანვარო, ტოტი, დევეკიო და დელ პიერო ჩინებული ფეხბურთელები არიან. აი, ინგლისელებს კი ასეთი ნიჭიერი მოთამაშეები ნაკლებად ჰყავთ“, — დასძინა სერ ალექსმა.



# ატმოცნობები



REUTERS



ბორა მილუტინოვიჩი ჩინეთში პირველი კაცია

ინელთა ყოფილმა დამრიგებელმა, ინგლისელმა ტედ ბაქსტონმა განაცხადა, მუნდიალზე ჩინელები ბევრს გააკვირვებენ და იქნებ ბრაზილიასაც კი მოუგონონ. ბაქსტონის აზრს ინგლისელთა შვედი მენეჯერი სვენ გორან ერიკსონიც გამოეხმაურა: ბრაზილიას აჯობონ? ეს უფრო დიდ შოკს გამოიწვევს, ვიდრე 1950-ში ამერიკელების ინგლისელებთან და 1966-ში ჩრდილოკორეელების იტალიასთან გამარჯვება. თუმცა დღეს ბრაზილიელებს პრობლემები დაუკროვდათ და ეგებ ჩინელებმა მართლაც გაისროლონ.

ისე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩინელთა მწვერთელი ბორა მილუტინოვიჩია, საკვირველი აღარაფერი უნდა იყოს.



ამხრეთაფრიკელთა მწვერთელმა იომო სონომ, ვისაც თბილისში ამასწინანდელი სტუმრობიდანაც ვიცნობთ, ნაკრების კანდიდატთა გაფართოებული სია გამოაქვეყნა, რომელშიც ვეტერანი ლუკას რადებე და ერიკ ტინკლერი ვერ მოხვდნენ. მიზეზი ის არის, რომ ლიდსელმა რადებემ ტრავმა ბოლომდე ვერ მოიშუშა, ტინკლერი



იომო სონო

საშაგა ფორულაშვილი

კი „ბარნსლის“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება.

ამასთან სონომ „ბაფანა-ბაფანაში“ ორი ასაკოვანი ფეხბურთელი მაინც დააბრუნა — მარკ ფიშს და შონ ბარტლეტს ტრავმების გამო კარგა ხანია არ უთამაშიათ, ახლა კი კორეა-იაპონიაში წასვლის შანსი მიეცათ.



აუდელ არაბთა თავდამსხმელმა სამი ალ ჯაბერმა თქვა, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კარიერას დავამთავრებო. ალ ჯაბერი იმედოვნებს, რომ ქვეყნის ფეხბურთის მმართველი, სულთანი ბენ ფაჰდ ბენ აბდულ აზიზი მას წინააღმდეგობას არ გაუწევს.

შეგახსენებთ, რომ 29 წლის ფეხბურთელი ეროვნული გუნდის მისურით 1994 და 98 წლების მუნდიალზეც თამაშობდა აშშ-ის მსოფლიოს თასზე არაბები მრეველდნაღმაც კი გავიდნენ.



ორკშირის ბანკმა საგანგებოდ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად აღმოაჩინა, რომ იაპონიაში მიმავალი ინგლისელი გულშემატკივრების უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს იქაურ ფანსებზე, შიშობენ, ვაითუ ფული არ გვეყოსო. ბევრი მათგანი ხომ ბედის ანაბარა წავა ამომავალი მზის ქვეყანაში, ანუ ღამის გასათევისა და ჭამა-სმის პრობლემების მოგვარება სამშობლოდან შორს მოუწევს. ერთი ნაღდა: გამოკითხულთა უმრავლესობა ამბობს, იაპონურ „სუსისა“ და „სასამის“ სენდვიჩები, ჰამბურგერები, ღვეხელები და ინგლისური ლული გვირჩევიანო.

ორეაში ჩასულ გულშემატკივრებს სხვა მრავალ სიურპრიზთან ერთად იქური სამზარეულოს გაცნობაც ელით. მენიუმში იქნება ძაღლის ხორცის წვნიანი, ძაღლის ჰამბურგერი, ძაღლისგან დამზადებული გამაგრებელი სასმელი და მისთანები.

ტრადიციული კორეული სამზარეულო დიდი ხანია ცნობილია ძაღლისა და კატის „დელიკატესებით“. ფესვები შორეულ წარსულში უნდა ვეძებოთ, როცა კორეა აღმოსავლეთ აზიაში ერთ-ერთი უღატაკესი ქვეყანა იყო და ამიტომაც საკვებად ისეთი ცხოველების ხორცს მოიხმარდნენ, ჩვენ რომ „შინაურებს“ ვეძახით. დღეს კორეა განვითარებული და ეკონომიკურად დაღუბნილი ქვეყანაა, მაგრამ ტრადიცია მაინც შეძორხა.

ჩემპიონატის დღეებში ასეთ კერძებს თურმე არა მარტო რესტორნებში, არამედ სტადიონების სიახლოვესაც შესთავაზებენ ტურისტებს. კორეული რესტორნების ასოციაცია ამ გზით ცდილობს უცხოელები დაარწმუნოს, რომ ძაღლის ხორციით დამზადებული საჭმელი გემრიელი და უვნებელია, ხოლო გამაგრებელი სასმელი „კოკა კოლას“ სვობს.

ცხოველთა დაცვის მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია, ცხადია, კორეელთა ახირებას სასტიკად ეწინააღმდეგება. მათ მხარს უბამენ სპორტსმენები და ცნობილი ადამიანებიც. მაგალითად, ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებმა გაავრცელეს საგანგებო მიმართვა, რომლითაც კორეის ხელისუფლებას მოუწოდებენ, „ასეთი საჭმელი“ ჩემპიონატის დროს მაინც აკრძალონ. „წვენი“ მისაღებად ცხოველებს აღუდებულ წყალში ყრიან. ეს საშინელებაა, — აღშფოთებას ვერ ფარავს მაიკლ ოუენი.

ფრანგი კინოვარსკვლავი, ერთ დროს ულამაზესი ბრიჯიტ ბარდო, ვინც ბოლო ათი წელიწადია მთელ დროს ძაღლთა დაცვას ახმარს, უფრო შორს მიდის და მშობლიური ქვეყნის ნაკრებს ჩემპიონატის ბოიკოტისკენ მოუწოდებს, კორეაში ცხოველთა უფლებები სასტიკად ირღვევა და იქ რა გესაქმებათო...



ძაღლების ქომავი ბრიჯიტ ბარდო







საპორი „საპორი დოუმი“. ტევადობა 42 000



ოსაკა „ნავი“. ტევადობა 50 000




იოკოჰამა „ინთერნეიშენალი“. ტევადობა 70 000



კობე „ვიზვი“. ტევადობა 42 000



იბარაკი „კაშიმა სოკერი“. ტევადობა 42 000



შიტუკა „ეკობა“. ტევადობა 50 600



ოიტა „ბიჯ აი“. ტევადობა 43 000




საიტამა „საიტამა“. ტევადობა 63 000




შიაგი „შიაგი“. ტევადობა 49 000




ნიიგატა „ნიიგატა ბიჯ სვონი“. ტევადობა 42 300



სეული „სეული“. ტევადობა 64 667



პუსანი „პუსან ასეონი“. ტევადობა 54 534



ულსანი „ულსან მუნსუ ფუტბოლი“. ტევადობა 43 512




სეოკვიპო „სეოკვიპო უორლდ ჩაფი“. ტევადობა 42 256



ინჩხონი „ინჩხონ მუნსაკი“. ტევადობა 52 179




ტეჯონი „ტეჯონ უორლდ ჩაფი“. ტევადობა 42 176




ტეგუ „ტეგუ უორლდ ჩაფი“. ტევადობა 65 857



ჩონჯუ „ჩონჯუ უორლდ ჩაფი“. ტევადობა 42 447



კანჯუ „კანჯუ უორლდ ჩაფი“. ტევადობა 42 880



სეონი „სეონ უორლდ ჩაფი“. ტევადობა 44 047

# 1998

## პაპუნა კედია



### მსოფლიოს

მეთექვსმეტე ჩემპიონატმა 32 გუნდს მოუყარა თავი. საფრანგეთის სტადიონებზე 64 შეხვედრა გაიმართა — ასეთი მასშტაბური ტურნირი ფეხბურთის ისტორიას არ ახსოვდა. მატჩებს ათმა ახალმა და გა-

ნახლებულმა სარბიელმა უმასპინძლა, ხოლო გახსნის თამაში და ფინალი პარიზის ჩრდილოეთით, სენ დენში საგანგებოდ აგებული „სტად დე ფრანსზე“ მოეწყო.

32 ნაკრები, თავის მხრივ, შესარჩევ ეტაპზე 30 ვაკანტურ ადგილს ნიშნავდა (მასპინძელი და ჩემპიონი ხომ შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობდნენ), რამაც აზიასა და აფრიკას მეტი გუნდის წარმომჩენის საშუალება მისცა. საბოლოოდ ორგანიზატორებს ოთხგუნდიან ჯგუფებში ქვეყნების თანაბარი განაწილების საშუალება მიეცათ: ორი ევროპიდან, ერთი ამერიკიდან და ერთი აზიიდან ან აფრიკიდან.


ტურნირის პირველმა ეტაპმა თავისი წილი სიურპრიზებაც შესთავაზა საზოგადოებას. მაგალითად, ესპანეთმა პირველ შეხვედრაში ნიგერიასთან 2:3 წააგო და ბო-

ლოს, მართალია, უმწეო ბულგარეთს ექვსი ბურთი შეუგდო (ამ მატჩებს შორის პარაგვაისთან ვერც გაიტანა და არც გაუშვა), ამან ვერ უშველა — ჯგუფში ჩარჩა.


თუ ამას სიურპრიზი შეიძლება ეწოდოს, პირველი ბარიერი ვერც კოლუმბიამ გადალახა. თუმცა, კოლუმბიელები კენჭისყრამ ჯგუფში რუმინეთსა და ინგლისთან მოახვედრა და, ამდენად, მათი მარცხი მთლად ულოგიკოც არ ყოფილა. სხვათა შორის, რუმინეთმა თვით ინგლისსაც კი აჯობა (2:1).

პირველ ეტაპს თავისი კვალი შოტლანდიამ და იამაიკამაც დააჩნიეს, თუმცა უფრო გულშემატკივრებით, ვიდრე თამაშით. მაროკოს გუნდს ძალიან დასწყდა გული, რადგან ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლის შანსი ჰქონდა, მაგრამ, ბრაზილიისა და ნორვეგიის ნაკრებთა შეხვედრის მიწურულს სამხრეთამერიკელთა კარში პენალტი დაინიშნა, ნორვეგიამ გაიმარჯვა და აფრიკელები იძულებულნი შეიქნენ მესამე ადგილს დასჯერებოდნენ.

მეორე ეტაპი მერვედფინალებით დაიწყო და მერვედფინალების ყველაზე საინტერესო მატჩი სენტ-უტინენში გაიმართა, ინგლისსა და არგენტინას შორის. შეხვედრის პირველ ნახევარში ქობაკებმა მაღალი დონის ფეხბურთი იხილეს. ჯერ იყო და პირველათ წუთში მსაჯმა ორივე კარში პენალტი დანიშნა (ორივე პენალტი გოლით დასრულდა), შემდეგ ჯერ მაიკლ ოუენმა გაიტანა დიდებული გოლი, ბოლოს კი ხავიერ მანე-



პარიზი, ელისეს მინდვრები: ფრანგები მსოფლიოს ჩემპიონობას ზეიმობენ



საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი ემე ჟაკე მსოფლიოს თასით ხელში

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთის ნაკრები. დეანან: ზიდანი, დესაი, ლებეფი, ტურამი, ვივარში, პეტი. სხედან: კარემბუ, კოორაკეფი, დეშანი, ბარტეზი, ლიზარაზუ



ტიმ ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო დარტყმა და გაქვითა. რაც შეეხება მეორე ტაიმს, მისი მთავარი მომენტი დრამა გახლდათ: დევიდ ბექჰემმა დიეგო სიმენეს წიხლი მისცხო, სიმენე ერთობ თეატრალურად გაგორდა მოედანზე და არბიტრამც ინგლისელი წითელი ბარათით დასაჯა. შემდეგ, სულ კვებულმა გაიტანა გოლი, მაგრამ მსაჯმა მანამდე მეკარის წინააღმდეგ უხეშობა შენიშნა და არ ჩათვალა.

ამრიგად, ძირითადი დრო ფრედ დასრულდა, გოლი არც დამატებით დროში გასულა და ყველაფერი პენალტებმა გადაწყვიტა — ანგენტინა მეოთხედფინალში გავიდა.

ამასობაში საფრანგეთის ნაკრები დინჯად და დაჟინებით მიიწვედა წინ. ჯგუფში დამჯერებული გამარჯვების შემდეგ მასპინძლებს პარავგამ გაუწია წინააღმდეგობა და ამ შეხვედრაში გამარჯვებულის გამოვლენას დამატებითი დრო დასჭირდა. გადაწყვეტი გოლი 113-ე წუთზე ფრანგთა კაპიტანმა ლორან ბლანმა შეაგდო. ეს გახლდათ

პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი „ოქროს გოლი“ მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში.

მასპინძელთა შემდეგი მეტოქე იტალია იყო. აქ საქმე პენალტებზე მიდგა, თუმცა მანამდე, დამატებითი დროის მიწურულს, იტალიელ რობერტო ბავოს მიეცა გოლის გატანის ჩინებული შესაძლებლობა. პენალტების სერიაში საბედისწერო ლუიჯი დი ბიაჯოს დარტყმა გამოდგა — ბურთი ხარისხს მოხვდა და გულშემატკივრებს საფრანგეთის ნაკრების ნახევარფინალში გასვლის ამბავი აუწყა.

ნახევარფინალში ზინედინ ზიდანსა და კომანანას ხორვატის ყოჩაღი ნაკრები ელოდა. აღვნიშნოთ, რომ ხორვატები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პირველად გამოდიოდნენ და ფრანგებთან შეხვედრამდე, მეოთხედფინალში, გერმანელებს სენსაციური ანგარიშით, 3:0 მოუგეს.

და აი, ნახევარფინალში მიროსლავ ბლაჟევიჩის გაწვრთნილ ბიჭებს მასპინძლები გადაეყარნენ, თუმცა ამან ისინი ვერ შეაშინა და გახსნეს კიდეც ანგარიში — დავორ შუკერმა, რომელიც საბოლოოდ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ტრიბუნებს ცივი წყალი გადაასხა.

გამოხდა დრო და ფრანგებს მხსნელი გამოუჩნდათ — განაპირა მცველმა ლილიან ტურამმა თავის კარიერაში პირველი და მეორე სანაკრებო გოლები გაიტანა.

—დადგა ფინალის დღეც, 12 ივლისი. „სტად დე ფრანსზე“ ერთმანეთს ფრანგთა და ბრაზილიელთა ეროვნული გუნდები დაუპირისპირდნენ.

თამაშის წინ, საინფორმაციო სააგენტოები ავრცელებენ მეტოქეთა განაცხადებს. საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობა ლოგიკურია, ბრაზილიის ნაკრებში კი არ წერია... რონალდო! სრული გაუკებრობაა, რონალდოს ტრაგედიის შესახებ არსად არაფერი თქმულა.



ფინალი: საფრანგეთი-ბრაზილია. 27-ე წუთზე ზიდანმა ანგარიში გახსნა




ზეიმობს ლილიან ტურამი

გადის ხუთი-ათი წუთი და სააგენტოები ახალ ვერსიას ავრცელებენ: ბრაზილიის გუნდში რონალდო ითამაშებს.

ეს ის წუთებია, როდესაც მსოფლიომ არ იცის, რომ იმ დღეს, შუადღისას, ეგრეთ წოდებული მკვდარი საათის დროს სასტუმროს ოთახში რობერტო კარლოსის თვალიდან სანაწიფო საავადმყოფოში გააქანეს. ბრაზილიელთა მწვრთნელი მარია ზაგალოც შესაბამისად ასახელებს შემადგენლობას, მაგრამ რონალდო გონს მოდის და სტადიონისკენ მიიჩქარის, რის გამოც ზაგალო თერთმეტი კაცის სიას ცვლის.

შემდეგ თამაში იწყება და 27-ე წუთზე ზინედინ ზიდანი კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ტეტრაკამპეონთა კარში აგდებს. ფრანგთა ლიდერს პირველი ტაიმის წამატებულ წუთებში მეორე გოლიც გააქვს, ხოლო შესვენების შემდეგ, მას მერე, რაც 68-ე წუთზე მარსელ დესაის მოედნიდან აძევენ, ემანუელ პეტი კიდეც ერთხელ ახარებს სენ დენში შეკრებილ გულშემატკივარს.

და, როდესაც მსოფლიოს პირველობათა ფინალების ისტორიაში პირველმა აფრიკელმა მსაჯმა, მაროკოელმა ბელქელამ საფინალო ჩასტვინა, მსოფლიო ოფიციალურად შეეგება ახალ ჩემპიონს.



დღეს მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელები ზინედინ ზიდანი და რობერტო კარლოსი იმ დღეს მსოფლიოს თასს ეცილებოდნენ ერთმანეთს



ემანუელ პეტიმ ბრაზილიელებს მესამე გოლი გაუტანა

ბიქსენტ ლიზარაზუ და კაფუ



ფაბიენ ბარტეზი რონალდოს შესაკლა





ბრაზილიელი ვარსკვლავები: რონალდო და რივალდო



ინგლისელთა სიხარული: დევიდ ბექემი (მარცხნივ) და მაიკლ ოუენი



მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი დავორ შუკერო

### A ჯგუფი

10.06 ბრაზილია — შოტლანდია	2:1 (1:1)
10.06 მაროკო — ნორვეგია	2:2 (1:1)
16.06 შოტლანდია — ნორვეგია	1:1 (0:0)
16.06 ბრაზილია — მაროკო	3:0 (2:0)
23.06 ბრაზილია — ნორვეგია	1:2 (0:0)
23.06 შოტლანდია — მაროკო	0:3 (0:1)
ბრაზილია	3 2 0 1 6:3 6
ნორვეგია	3 1 2 0 5:4 5
მაროკო	3 1 1 1 5:5 4
შოტლანდია	3 0 1 2 2:6 1

### B ჯგუფი

11.06 იტალია — ჩილე	2:2 (1:1)
11.06 კამერუნი — ავსტრია	1:1 (0:0)
17.06 ჩილე — ავსტრია	1:1 (0:0)
17.06 იტალია — კამერუნი	3:0 (1:0)
23.06 იტალია — ავსტრია	2:1 (0:0)
23.06 ჩილე — კამერუნი	1:1 (1:0)
იტალია	3 2 1 0 7:3 7
ჩილე	3 0 3 0 4:4 3
ავსტრია	3 0 2 1 3:4 2
კამერუნი	3 0 2 1 2:5 2

### C ჯგუფი

12.06 საუდეთი — დანია	0:1 (0:0)
12.06 საფრანგეთი — სამხ. აფრიკა	3:0 (1:0)
18.06 სამხ. აფრიკა — დანია	1:1 (0:1)
18.06 საფრანგეთი — საუდეთი	4:0 (1:0)
24.06 საფრანგეთი — დანია	2:1 (1:1)
24.06 სამხ. აფრიკა — საუდეთი	2:2 (1:1)
საფრანგეთი	3 3 0 0 9:1 9
დანია	3 1 1 1 3:3 4
სამხ. აფრიკა	3 0 2 1 3:6 2
საუდეთი	3 0 1 2 2:7 1

### D ჯგუფი

12.06 პარაგვაი — ბულგარეთი	0:0
13.06 ესპანეთი — ნიგერია	2:3 (1:1)
19.06 ნიგერია — ბულგარეთი	1:0 (1:0)
19.06 ესპანეთი — პარაგვაი	0:0
24.06 ესპანეთი — ბულგარეთი	6:1 (2:0)
24.06 ნიგერია — პარაგვაი	1:3 (1:1)
ნიგერია	3 2 0 1 5:5 6
პარაგვაი	3 1 2 0 3:1 5
ესპანეთი	3 1 1 1 8:4 4
ბულგარეთი	3 0 1 2 1:7 1

### E ჯგუფი

13.06 სამხ. კორეა — მექსიკა	1:3 (1:0)
13.06 ჰოლანდია — ბელგია	0:0
20.06 ბელგია — მექსიკა	2:2 (2:0)
20.06 ჰოლანდია — სამხ. კორეა	5:0 (2:0)
25.06 ჰოლანდია — მექსიკა	2:2 (2:0)
25.06 ბელგია — სამხ. კორეა	1:1 (1:0)
ჰოლანდია	3 1 2 0 7:2 5
მექსიკა	3 1 2 0 7:5 5
ბელგია	3 0 3 0 3:3 3
სამხ. კორეა	3 0 1 2 2:9 1

### F ჯგუფი

14.06 იუგოსლავია — ირანი	1:0 (0:0)
15.06 ბერმანია — აშშ	2:0 (1:0)
21.06 ბერმანია — იუგოსლავია	2:2 (0:1)
21.06 აშშ — ირანი	1:2 (0:1)
25.06 ბერმანია — ირანი	2:0 (0:0)
25.06 იუგოსლავია — აშშ	1:0 (1:0)
გერმანია	3 2 1 0 6:2 7
იუგოსლავია	3 2 1 0 4:2 7
ირანი	3 1 0 2 2:4 3
აშშ	3 0 0 3 1:5 0

### G ჯგუფი

15.06 ინგლისი — ტუნისი	2:0 (1:0)
15.06 რუმინეთი — კოლუმბია	1:0 (1:0)
22.06 კოლუმბია — ტუნისი	1:0 (0:0)
22.06 რუმინეთი — ინგლისი	2:1 (0:0)
26.06 რუმინეთი — ტუნისი	1:1 (0:1)
26.06 კოლუმბია — ინგლისი	0:2 (0:2)
რუმინეთი	3 2 1 0 4:2 7
ინგლისი	3 2 0 1 5:2 6
კოლუმბია	3 1 0 2 1:3 3
ტუნისი	3 0 1 2 1:4 1

### H ჯგუფი

14.06 არგენტინა — იაპონია	1:0 (1:0)
14.06 იამაიკა — სლოვაკია	1:3 (1:1)
20.06 იაპონია — სლოვაკია	0:1 (0:0)
21.06 არგენტინა — იამაიკა	5:0 (1:0)
26.06 არგენტინა — სლოვაკია	1:0 (1:0)
26.06 იაპონია — იამაიკა	1:2 (0:1)
არგენტინა	3 3 0 0 7:0 9
სლოვაკია	3 2 0 1 4:2 6
იამაიკა	3 1 0 2 3:9 3
იაპონია	3 0 0 3 1:4 0

### მერვედფინალი

27.06 იტალია — ნორვეგია	1:0 (1:0)
27.06 ბრაზილია — ჩილე	4:1 (3:0)
28.06 საფრანგეთი — პარაგვაი	1:0 (1:0)
28.06 დანია — ნიგერია	4:1 (2:0)
29.06 ბერმანია — მექსიკა	2:1 (0:0)
29.06 ჰოლანდია — იუგოსლავია	2:1 (1:0)
30.06 რუმინეთი — სლოვაკია	0:1 (0:1)
30.06 არგენტინა — ინგლისი	2:2 (1:1)

### მეთხედფინალი

03.07 იტალია — საფრანგეთი	0:0 (პენ.3:4)
03.07 ბრაზილია — დანია	3:2 (2:1)
04.07 ჰოლანდია — არგენტინა	2:1 (1:1)
04.07 ბერმანია — სლოვაკია	0:3 (0:1)

### ნახევარფინალი

07.07 ბრაზილია — ჰოლანდია	1:1 (დ.დ. პენ.4:2, 1:1) (0:0)
08.07 საფრანგეთი — სლოვაკია	2:1 (0:0)

### მატჩი მესამე

### ადგილისთვის

11.07 ჰოლანდია — სლოვაკია	1:2 (1:2)
---------------------------	-----------

### ფინალი

12.07. „სტად დე ფრანსი“. 80 000 მაყურებელი

ბრაზილია 0:3 საფრანგეთი

0:1, 0:2 ზიდანო (27, 45), 0:3 პეტი (90)

ბრაზილია: ტაფარელი, კაფუ, ალდარი, რობერტო კარლოსი, ფუნიორ ბაიანო, სეზარ სამპაიო (ედმუნდო 74), დუნგა, ლეონარდო (დენილსონი 46), რივალდო, რონალდო, ბებეტო

მწვრთნელი: მარიო ზაგალი

საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, დესაი, ლეხენი, ლიზარაზუ, კარამბუ (ბოგოსიანი 57), დეშანი, პეტი, ჯორკაევი (ვიეირა 76), ზიდანო, გივარში (დიუგარი 66)

მწვრთნელი: ემე ჟაკე

მსაჯი: საიდ ბელკოლა (მაროკო)

# ყველაზე...

შვედეთის მსოფლიოს ჩემპიონატს (1958) და მექსიკის მუნდიალს (1970) მთელი თორმეტი წელი ყოფს, მათ შორის კი ჩილეა და ინგლისის ჩემპიონატები იყო. პელემ და გერმანელმა უვე ზეელერმა ოთხივე ამ ჩემპიონატზე შეძლეს გოლების გატანა. ოთხ მსოფლიო ჩემპიონატზე გოლი სხვას არავის გაუტანია.



უვე ზეელერი

ჰოლანდიელმა ერნი ბრანდტსმა არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიასთან ჯერ საკუთარი კარი დალაშქრა, მერე კი მეტოქის კარში შეაგდო ბურთი. ასეთი რამ სხვას არავის მოუხერხებია.

შეცვლაზე შესული პირველი ფეხბურთელი, რომელმაც გოლის გატანა შეძლო, მექსიკელი ზუან ბასაგურენი გახლავთ. ეს იყო 32 წლის წინ მის სამშობლოში გამართულ მუნდიალზე სალვადორის ნაკრებთან შეხვედრაში. თან ბასაგურენმა იმ მატჩში შეცვლაზე შესული ფეხბურთელი (ხაიმე ლოპესი) შეცვალა, რაც თავისთავად იშვიათობაა.



ერნი ბრანდტსი

იმათ ჩამოთვლას, ვისაც მსოფლიოს ჩემპიონატებზე ჰქონდა ორივე შეუსრულებია, ნუ შევუდგებით — ძალიან ბევრნი არიან, უფრო ზუსტად, ორმოცდაერთი. მათგან ოთხი ფეხბურთელი გამოვარჩიოთ: უნგრელი შანდორ კოჩიში, ფრანგი ჟუსტ ფონტენი, გერმანელი გერდ მიულერი, არგენტინელი გაბრიელ ომარ ბატისტუტა —, რომელთაც ორ-ორი ჰქონდა ორივე აქვე შესრულებული.

შანდორ კოჩიში




ჯუსტ ფონტენი  
პალიუკა

მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ურუგვაიში პირველი გაძევებითაც იყო გამოირჩეული (მაშინ წითელი ბარათები არ არსებობდა და მსაჯვი მოთამაშეს ხელით მიუთითებდა გასახდელისკენ). პირველი უიღბლო და სამაგიეროდ ისტორიაში შესული ფეხბურთელი კი პირველი მარია დე ლას კასასი გახლდათ, რომელიც რუმინეთთან 1:3 წაგებულ მატჩში დაითხოვეს მოედნიდან. პირველი გაძევებული მეკარეა იტალიელი ჯანლუკა პალიუკა, რომელსაც, გენსომებთან, ამერიკის ჩემპიონატზე ნორვეგიასთან უკანასკნელი იმედის ჯარიმისთვის დასაჯეს. უსწრაფესად კი ურუგვაელი სერხიო ბატისტასის გაძევება ითვლებოდა. 1986 წელს შოტლანდიასთან შეხვედრაში ამ ფეხბურთელმა მოედანზე სულ რაღაც 56 წამს გაძლო.

პირველი გოლი მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ფრანგმა ლუსიენ ლორანმა გაიტანა მექსიკისთან მატჩში 1930 წლის 13 ივლისს. მე-500 გოლი შოტლანდიელ ბობი კოლინზს ეკუთვნის, 1958 წელს პარაგვაელებთან შეხვედრაში იმარჯვა. მე-1000 გოლი ოცი წლის მერე თავად სქოთებს შეუგდეს და ეს ჰოლანდიელი რობ რენსენბრინკი გახლდათ. 1500-ე გოლი შოთა არველაძის თანაგუნდელმა კლაუდიო კანიჯამ გაიტანა ამერიკის პირველობაზე არგენტინა-ნიგერიის მატჩში. ბოლო გოლი, რიგით 1755-ე, ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის ბოლო წუთზე ბრაზილიასთან მატჩში ემანუელ პეტტი გაიტანა.

ლუსიენ ლორანი



ოთხი და ხუთი გოლი ერთ მატჩში ეროვნულ პირველობებზე იშვიათად თუ გააქვს ვინმეს, არათუ მსოფლიოს ჩემპიონატზე. ხუთი გოლის გამტანი სულაც ერთადერთი ფეხბურთელია — რუსი ოლეგ სალენკო, ვინც 1994 წელს ამერიკის ჩემპიონატზე კამერუნის ნაკრები დაიბრევია. ის მატჩი ალბათ გახსოვთ, ნ:1 დასრულდა.

ერთ მატჩში ოთხი გოლის გატანა ცხრა მოთამაშემ შეძლო, ამათგან ბრაზილიელმა ლეონიდასმა და პოლონელმა ერნსტ ფილიმოვსკიმ, ერთ შეხვედრაში — 1938 წლის მუნდიალზე, და ის მატჩი ბრაზილიამ 6:5 მოიგო.

დანარჩენი ოთხგოლიანები კი არიან: შვედი გუსტავ ვეტერსტრიომი (1938. კუბასთან 4:0), ბრაზილიელი ადემირი (1950. შვედეთთან 7:1), ურუგვაელი ხუან სკიაფინო (1950. ბოლივიასთან 8:0), უნგრელი შანდორ კოჩიში (1954. დასავლეთ გერმანიასთან 8:3), ფრანგი ჟიუსტ ფონტენი (1958. დასავლეთ გერმანიასთან 6:3), პორტუგალიელი ეუსებო (1966. ჩრდ. კორეასთან 5:3) და ესპანელი ემილიო ბუტრაგენიო (1986. დანიასთან 5:1).

ოლეგ სალენკო



ფერენც პუშკაში



ტუნისელი ზემოსუ ლაბიდი შვილიშვილებს მოუყვება, მსოფლიოს ჩემპიონატზე მითამაშაო. თამაშით როგორ არ უთამაშა, 1978 წელს, არგენტინაში, თუმც მოედანზე სულ ერთხელ შეიყვანეს და ისიც ორი წუთით (მექსიკასთან), სამაგიეროდ მან რეკორდი დაამყარა — ასე ცოტა ხნით მინდორზე არავის უთამაშა.

ეს „შედევრი“ რვა წლის შემდეგ არგენტინელმა მარსელო ტრობიანიმაც გაიმეორა გერმანიასთან ფინალურ მატჩში, როცა 88-ე წუთზე ბურუჩაგა შეცვალა და მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა.

პირველი ფეხბურთელი, ვინც შეცვლაზე გამოიყვანეს, საბჭოელი ანატოლი პუზანი გახლდათ. 1970-ში მექსიკასთან ჩემპიონატის გახსნით მატჩში ის მეორე ტაიმში შეიყვანეს მოედანზე შესტერნიოვის ნაცვლად. იმ ჩემპიონატამდე შეცვლა მიღებული არ იყო. პირველი შეცვლილი მეკარე რუმინელი ნეკულაუ რადუჩინუ გახლდათ. ამავე მიწოდორზე ბრაზილიასთან მატჩში ის სტივ ადამკემ შეცვალა.

1978 წელს მოხდა ყველაზე სწრაფი შეცვლა. არგენტინასთან შეხვედრაში იტალიელი მაურო ბელუჯი მეექვსე წუთზე შეცვალა ანტონელო კაპურეღუმ.

ეს ახლაა, შენი ქვეყნის ეროვნულ გუნდში თუ ვითამაშა, სხვა ქვეყნის ნაკრებში მოქალაქეობაგამოცვლილიც ვერ ითამაშებ. ადრე ეს წესი არ მოქმედებდა, რითაც ოთხმა ფეხბურთელმა ისარგებლა: ლუის მონი 1930 წელს ურუგვაის ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრებში თამაშობდა, ოთხი წლის შემდეგ კი იტალიელად იქცა. ფერენც პუშკაში 1954-ში უნგრეთის, 1962 წელს კი ესპანეთის სახელით ითამაშა. ამავე ჩემპიონატებზე ხოსე სანტამარია ჯერ ურუგვაელი იყო, მერე პუშკაშის თანაკრებელი, ანუ ესპანელი, ბრაზილიელმა მატლამ კი, 1958 წელს მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა, ჩილეს ჩემპიონატზე იტალიელობა ინდობა და მიქარა — მსოფლიოს ჩემპიონის მეორე ტიტულიც დაკარგა.

მსოფლიოს ჩემპიონატებზე მსაჯებმა ოთხმოცდაჩვიდმეტჯერ ააფრიალეს წითელი ბარათები, რომელთა მსხვერპლიც 96 ფეხბურთელი შეიქნა. ეს კი ნიშნავს, რომ არის ერთადერთი მოთამაშე, ვინაც ორჯერ გააძევეს მოედნიდან. ეს კამერუნელი რიგობერტ სონგია, ნაკრების ახლანდელი კაპიტანი. 1994 წელს მან ბრაზილიასთან მატჩში იუხეშა, ბოლო მსოფლიო პირველობაზე კი ჩილეს შეატოვა თავისიანები კაცნაკულნი.

მარსელ დესაი



1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში დასავლეთგერმანელთა წინააღმდეგ არგენტინელი ჰედრო მონსონი მეორე ტაიმში ოსკარ ალფრელო რუჯერის ნაცვლად შევიდა და ოც წუთში წითელი ბარათიც მიიღო — ეს იყო ფინალურ მატჩებში პირველი გაძევა, რასაც კიდევ ორი მოჰყვა. ამავე შეხვედრაში მონსონის გზას 87-ე წუთზე გუსტავო აბელ დესოტი გაუყენეს, ხოლო ბოლო, საფრანგეთ-ბრაზილიის ფინალში, 68-ე წუთზე მარსელ დესაი გააძევეს ფოტოზე ალბეკლილი სარმისთვის.



რიგობერტ სონგია

REUTERS

# ბევრი იარა თუ სოფა...

## გიორგი დარჯანი



**ჩემპიონის** ლიგამ იარა, იარა და ლოგიკურ დასარულს მიაღება, გასამართლი ფინალიდან დარჩა. იმავ საფეხბურთო ლოგიკით მეოთხეფინალისა და ნახევარფინალის ანუ პლეი ოფის მატჩები ბევრად დაძაბული იყო ჯგუფური ეტაპის შეხვედრათა აბსოლუტურ უმრავლესობაზე და საამო საცქერცი გამოდგა.

მეოთხეფინალებში რამდენიმე გამოსარჩევი ამბავი მოხდა, რომელთაგან ერთიც — დევიდ ბექემის ორჯერადი დამტკრევა სრულიად ინგლისმა სრულიად მსოფლიოს ქვეყნიერების აღსასრულოდ აძინო. ლა კორუნიასში, „დეპორტივოსთან“ შეხვედრისას მანჩესტერელს დიეგო ტრისტანმა ჩააზილა კოჭში და საკაცით გასაყვანი გაზადა. ბექემი საპასუხო მატჩისთვის კი მომჯობინდა, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ მშობლიურ „კოლდ ტრეფორდზე“ ალდუ დუშერიანთან მიეღო მზაკვრული სარმა, კვლავ საკაცეზე დაეწვინათ და ვინძორ მსოფლიოს ჩემპიონატზე გაუცდეს. ისე, „მანჩესტერი“ — „დეპორტივო“ ერთადერთი წყვილი იყო, გამარჯვებული პირველი მატჩის მერე რომ გაირკვა, სხვა წყვილებში კი ემოციები დუღდა.

ბოლო წლებია, წესად იქცა, რომ „რეალი“ და „ბაიერნი“ აუცილებლად უნდა გადაეყარონ ერთმანეთს და წლევანდელი გადაყრა სხვებზე სასიერო იყო. ვნახეთ: ოლივერ კარის უხეში შეცდომა, სანტიანო სოლარის სრულიად ბრწყინვალე თამაში, ეფენბერგის გაფუჭებული პენალტი, მისივე სასწაულით შემობრუნებული თამაში და მოლოდინი იმისა, რომ „სანტია-

გო ბერნაბეუზე“, საპასუხოში უფრო დიდი ამბების მომსწრენი გავხდებობით.

აკი გავხდით კიდევ: რამხელა ფანტაზიის უნარი უნდა ჰქონოდა ფერნანდო მორინტესს, ორჯერ თითქმის მეკარის ბაქნიდან ცარიელ კარში რომ აეცილებინა; როგორ შექმარწუნებელ გამომეტყველებას მიიღებდნენ ისედაც თავზარდამცემი იერის მქონე კანი და ეფენბერგი ივან ელგერას გოლის მერე; ნახევარფინალში „კამ ნოუზე“ წაუსვლელობის სურვილის გარდა რა მიზეზი უნდა ჰქონოდა ლუიმ ფიგუსს, ყოვლად სულელურად რომ ააფრიალებინა არბიტრს სადისკვალიფიკაციო ყვითელი ბარათი; ასეთი რამგნიტევიით თავი აქვს ეფენბერგს, ტრიბუნებიდან ნასროლი ყველა საგანი მაინცამაინც მას რომ ხვდებოდა.

„რეალის“ გამარჯვება იმასაც ნიშნავდა, რომ ნახევარფინალში „ბარსელონას“ შეხვედრებოდა, რომელმაც თავის მხრივ სამმაგად გადაუხადა სამაგიერო „პანათინაიკოსს“, „სპიროს ლუისზე“ პირველ მატჩში, საეჭვო პენალტის გატანისთვის. ხოლო რასაც ნიშნავს „რეალი“ — „ბარსელონა“, სიტყვას ნუ გავაგრძელებთ.

„ბარსელონაში“ შინაც და მადრიდშიც ძელები დახეთქა და სახიფათო მომენტებიც შექმნა, მაგრამ... ერთი, რომ ტაბლოზე ეს არ იყურება მათ მორეც, „რეალის“ თამაში აშკარად უფრო გამართული იყო, რის გამოც საბოლოო შედეგი სავსებით სამართლიანია და კატალონიელი ქომაგის თავისი გუნდისთვის ნასროლი ბოთლებიც ამაზე მიანიშნებს. ერთი ეგაა, „ბარსას“ მწვრთნელი და პრეზიდენტი, კარლოს რექსაჩი და ხუან გასპარი ამაში მორავინ დააჯერა. ერთხმად ამბობენ, მეტოქე დაჯვანბნეთ და ოდენ უიღბლობით დაგმარცხდითო. იმასაც მოითხოვენ, „რეალს“ პირველი ხუთი მოგებელი ჩემპი-



REUTERS

ელ კლასიკური გაუშვი — არ გაუშვა

ონთა თასი მოგებულად არ ჩაეთვალოს, ვინაიდან არიფებთან ბრილოლაში იგებდნენო.

აქამდე არ გვიხსენებია „ლევერკუზენი“, გუნდი, რომელიც რუკებზე აღუნიშნავ ქალაქში ბინდრობს, ისეთ პაწაწინაში, აეროპორტიც რომ არ აქვს. ხოლო კლუბი, სპონსორი რომ არა სულს დადაფავდა და ამ გუნდმა ლამაზი თამაშით დაამარცხა „ლივერპული“ და „მანჩესტერი“, თან ისე, რომ იღბალზე ლაპარაკიც ზედმეტია, ხოლო „ლევერკუზენი“ — „მანჩესტერი“ სანახავად სჯობდა „რეალს“ — „ბარსელონას“.


ამგვარად, „ვალენსიას“ დამკვიდრებული ტრადიცია, რომ ლიგის ფინალში ერთი არაბობოლა გუნდი უნდა იყოს, ბაიერელებმა გააგრძელეს, გერმანია კი ორი ფინალის მოლოდინშია — უეფას თასზე ხომ „ფეიენოორდს“ „დორტმუნდს“ ხვდება.

დათრგუნული მანჩესტერელთა კაპიტანი როი კინი



REUTERS

სენდვიჩი: ხუან ვერონი ბალაკსა და პლასენტეს შორის



REUTERS

ფერნანდო იერო და პატრიკ კლუივერტი



REUTERS



# ულობოლი...


## სოლომონ გულიანოვილი

ბოლო ხუთწელიწადნახევრის განმავლობაში საქართველოს ნაკრებმა პირველად ითამაშა ფედერაციის ოფიციალური ლოგოს გარეშე მხატვარმა ემირ ბურჯანაძემ, თავის დროზე ნოდარ ახალკაცის შეკვეთით ბოლნური ჯვარი რომ დახატა, ფედერაციას უჩივლა, ჩემი ნახატი დაამახინჯეთ, თანაც უკანონოდ გამოიყენეთო და საკომპენსაციოდ ნახევარი მილიონი დოლარი მოითხოვა. საქმე სასამართლომდე მივიდა, მაგრამ ფედერაციამ მხოლოდ ლოგოს დაამახინჯეს ფაქტი აღიარა, „ლოლოს“ ფორმაზე მისი ზუსტად გადატანა ტექნოლოგიურად ვერ მოხერხდა. შედეგად ფედერაციამ ბურჯანაძისეულ ლოგოზე უარი თქვა და ახლის შესაქმნელად კონკურსი გამოაცხადა. ფედერაციის ახალი სიმბოლო სრულად უნდა ასახავდეს საქართველოსა და ქართული ფეხბურთის ტრადიციებსა და დამახასიათებელ თვისებებს, წერია განცხადებაში. ჩვენ კი გავიხსენოთ, რომ ბურჯანაძისეული სიმბოლოთი „მინდისფერებმა“ პირველად 1996 წლის 9 ოქტომბერს ითამაშეს პერუვაში იტალიასთან (0:1), ბოლოს კი ერთი თვის წინ, 2002 წლის 27 მარტს თბილისში სამხრეთ აფრიკასთან (4:1).

ბოლნური ჯვარი გაუწერათ თუ რა იყო, „მინდისფერები“ კი ევროში ისე უსახურად აგორებდნენ ბურთს, 80-იანი წლების ჩავარდნილი თბილისის „დინამო“ გაგვახსენდა. პირველ ტაიმში ხომ კარში დარტყმა კი არა, მასპინძელთა ნახევარზე ზერიანადაც არ გადასულან, არც მეორეში გამოუღვიათ თავი და, რომ არა ლადო ბურდულის უღამახესი გოლი, ალბათ დასამახსოვრებელი საერთოდ აღარაფერი დაგვრჩებოდა. მოკლედ, მეორედ მოსული ალექსანდრე ჩივაძის ხელში ეს იყო პირველი მარცხი და ყველაზე ცუდი თამაში.

თუმცა, ამბობენ, ჯოხს ორი ბოლო აქვსო და ჭკვიანი კაცი ამ წაფორხილებას სათავისოდ გამოიყენებს. კარგია, რომ ეს მარცხი ამხანაგურ მატჩში მოხდა და არა შესარჩევში.

უკრაინელთა მწვრთნელ ლეონიდ ბურიაკს სამწინაო დებიუტი ჰქონდა და იაპონია-რუმინეთში წაგების მერე, ცხადია, საკუთარი მანერების თვალწინ გამარჯვებას ორმაგი ფასი ედებოდა. ბურიაკი ექსპერიმენტებსაც არ მოერიდა და თამაში სამი თავდამსხმელით (შეგენკო, რებროვი, ვირობეი) დაიწყო. მიღანელ შეგენკოს, რომელიც იმ საღამოს პირველად კაპიტნობდა ეროვნულ გუნდს, ტრავმა ახალი მომუშაებელი ჰქონდა და თავი ვერაფრით გამოიჩინა, მისმა ძველმა მეწყვილე რებროვმა კი ჩვენს კარში პირველი გოლი გაიტანა, თუმცა, ეს გოლი მეკარის შეცდომის ბრალი უფრო იყო, ვიდრე რებროვის ოსტატობისა, რომელიც კარგა ხანია „ტოტენჰემის“ ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდება. რებროვმა ოციოდე მეტრიდან არცთუ ძლიერად დაარტყა, მაგრამ გვარამაძემ ვერაფერი გააწყო. მეკარემ ვერც მეორე გოლს




სერჟი რებროვი და ალექსანდრე რეზიაშვილი

გადაგვარჩინა, მეორე, რომელიც მხატვარელებმა გამოაცხვეს, მსაჯის წამატებულ წუთებზე ზუბოვის ჯარიმიდან ჩაწოდებულს ტიმოშჩუკის თავური მოკვება, გვარამაძემ კარიდან გამოსვლა და ავჯიანა და ვერც ჩვენმა მცველებმა გააწყვეს რამე.

ბურდულმა კი მართლაც საუცხოო გოლი გაიტანა. ჯამარაულისგან შორეული პასი მიიღო და მარჯვენა ფრთიდან, საღაც 25 მეტრიდან, ბურთი კარის შორეულ კუთხეში ჩაუშვა, ეს ლადოს პირველი გოლი გახლდათ ეროვნულ გუნდში. მერე ბურდულმა „სარბიელის“ კორესპონდენტს უთხრა: ჩაწოდებით არ ჩამოვდებოა, კარში დავარტყა, თუმცა იმას კი ვერ დაეინებებ, ჩაფიქრებული მქონდა, სწორედ ასეთიანად, ზუსტად უკიდურეს კუთხეში შექცეული.

ჩივაძემ თქვა, უკრაინელებს ოდნავ უფრო გაუმართლათ, რადგან ჩვენ ბევრი დაშავებული გვყავდა. შოთა არველაძე, კალაძე, ნემსაძე, იაშვილი და ცქიტიშვილი რომ ყოფილიყვნენ სხვაგვარად ვითამაშებდითო. თუმცა ისიც დაყოლა, ასეთი მატჩები ახალგაზრდების გამოსაცდელად კარგი საშუალებაა, ამიტომ, ვამბობ, რომ კაევური შეხვედრა ჩვენთვის ფრიად სასარგებლო იყო.

„მინდისფერთა“ მწვრთნელს დავეთანხმებით, რომ ამხანაგურ მატჩებში ახალი ფეხბურთელების გამოცდა აუცილებელია, თუნდაც დინამოელი ამისულაშვილისა და ბურდულის მაგალითი ავიღოთ, რომლებიც ჩივაძისეულ ნაკრებში სულ უფრო მყარად იკიდებენ ფეხს, მაგრამ ნუთუ არ შეიძლებოდა სხვა მეკარეც გამოგვეცადა? დღევანდელ გუნდში ხომ ყველაზე სუსტი სწორედ ეს პოზიციაა. დმერთმანი, გვარამაძის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ საქართველოში რამდენიმე მეტ-ნაკლებად თანაბარი კლასის მეკარე მოიძებნება და თავის გამოჩენის საშუალება მათაც უნდა მიეცეთ, თუ არ ვენდობით, სხვა გამოსავალი უნდა ვეძებოთ, ვთქვათ უცხოელი მეკარე გადმოვიბოროთ. მარტო ვეროპანი რამდენი კარის დარაჯია, თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში რომ ვერ ხვდება და არც ამის პერსპექტივა აქვს, თუნდაც, 34 წლის ფრაიბურგელი რიხარდ გოლცი გავიხსენოთ. არა გვეგონია, წელიწადში სამ-ოთხჯერ თბილისში ჩამოსვლა ოუკაღრისოს. ანდა სხვა გზით წავიდეთ, ვინ წარმოიდგენდა, რომ გერმანიის ნაკრებში შაკაინანი ითამაშებდა, მაგრამ მოქალაქეობაშეცვლილი განელი ჯერალდ ასამონა თავისიანივით მიიღეს და აღარავის აღარაფერი უკვირს, ჩვენთვის კი, აფრიკელს თავი დავანებოთ და რუსული პრემიერლიგის საშუალო მეკარეც მისწვრება იქნებოდა. არადა, შესარჩევის დაწყებამდე ნახევარი წელი კიდევ არის და ამ დროის გონივრულად გამოყენება საჭირო, თორემ მერე იმის ლაპარაკი, საქართველოში ძლიერი მეკარე ან მცველი არ გვყავსო, საქმეს ვეღარ უშველის.



ამხანაგური მატჩი  
17 აპრილი. კიევი  
ლინამო  
20 000 მახურბელი

---

**უკრაინა 2:1 საქართველო**


---

10 რებროვი (17), 11 ბურდული (72), 21 ტიმოშჩუკი (90)  
**სპარინა:** შოკოვსკი (რევა 53), კორმილცევი (მაჟინოვი 58), სკრაინიკი (ზადოროვი 58), ფიოდოროვი, ვაშუკი, გუსინი, შეგენკო (მიშენკო 50), ტიმოშჩუკი, ზუბოვი, ვირობეი (სკანჩენკო 65), რებროვი (ნაგორნიაკი 65)  
**მწვრთნელი:** ლეონიდ ბურიაკი  
**სამართმევლო:** გვარამაძე, კობიაშვილი, შამიაშვილი, რეზიაშვილი, საჯაია (ბურდული 52), ამისულაშვილი (დარასელია 84), შეკოლაძე, ჯამარაული (ქეხოლოძე 79), ყველაშვილი (დიდავა 46), ქინქლაძე (ალექაიძე 70), დემეტრაძე (აშვიტია 81)  
**მწვრთნელი:** ალექსანდრე ჩივაძე  
**მსაჯი:** ლიუბოშ მიხალი (სლოვაკეთი)





1930




1954



1970



1986



1958



1974



1990



1938



1962




1978



1994



1950



1966



1982



1994